საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 24 იანვარი. 2020 წ. №13 (8939) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

სარჩევი

„ენდიაის“ ყოფილი თანამშრომლის ინტერვიუ, რომელიც ბევრ მნიშვნელოვან დეტალს ხდის ფარდას 5

ვახტანგ ძაბირაძე: ყოველთვის „ბლეფი“ იყო იმაზე საუბარი, რომ ოპოზიცია გაერთიანდებოდა... 3

4 სოსო მანჯავიძე: ოპოზიცია იკვეხება ნაძარცვი ფულით, მაგრამ მთავრობა არაფერს აკეთებს დამნაშავეების დასასჯელად!..

აფხაზების განცხადება საქართველოსთან პირდაპირი დიალოგის შესახებ რუსეთის „ნამუშევარია“ 8

რა პრობლემებს უქმნის კახელ ფერმერებს ზამთრის „გვალვიანი თვეები“? 11

თემურ მიქელაძე: ვერანაირი ტყვია ბავშვს ისეთ პრობლემას ვერ შეუქმნის, როგორსაც ეკრანდამოკიდებულება! 7



გიორგი გახარია: ევროკავშირის და ნატოს წევრობა საქართველოს უსაფრთხოების ერთადერთი გარანტიაა!

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ დავოსში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, პანელურ დისკუსიაში მიიღო მონაწილეობა რომელიც ევროპის ახალ შესაძლებლობებსა და პერსპექტივებს დაეთმო. გახარიამ სიტყვით გამოსვლის დროს რამდენიმე ასპექტზე გაამახვილა ყურადღება. კერძოდ, გიორგი გახარიას თქმით, მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დავოსში იმყოფება, როგორც აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი.

ამასთან, გიორგი გახარიას განცხადებით, საქართველოს ევროპული და ევრო-ატლანტიკური მისწრაფება შემდგარი ფაქტია და ეს არჩევანი ქვეყნის მოსახლეობამ გააკეთა. გიორგი გახარიამ ევროკავშირთან ურთიერთობაში ბოლო ხუთი წლის განმავლობაში არსებულ ხელშესახებ შედეგებზე გაამახვილა ყურადღება.

მისი თქმით, ესაა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე, თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება ევროკავშირთან და უვიზო მიმოსვლა. თუმცა, პრემიერის განცხადებით, არსებობს გამოწვევები უსაფრთხოებისა და ეკონომიკის სფეროებში.

...მზად ვართ „საშინაო დავალების“ შესასრულებლად!

„უპირველეს ყოვლისა, როდესაც საუბარია ეკონომიკაზე და როდესაც ვფიქრობთ ამ მიღწევების ყველა მოქალაქემდე დაყვანაზე, რეალურ პრობლემას ვაწყდებით. ეს არის ჩვენი პირველი რიგის პრიორიტეტი. საქართველოს კარიბჭედ მივიჩნევთ ევროპისა და ცენტრალური აზიისთვის. როდესაც საუბარი გვაქვს ეკონომიკურ პოლიტიკაზე, დიდი ეკონომიკის მქონე ქვეყანათა ტვირთბრუნვისთვის პლატფორმად მოვიაზრებთ საქართველოს. სრულად ვაცნობიერებთ და გვესმის, რომ საქართველოს ეკონომიკაში ინვესტიციები ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებას გულისხმობს. როდესაც საუბარია უსაფრთხოებაზე, რა თქმა უნდა, პრობლემებს ვხედავთ შავ ზღვაში. შავი ზღვა უპირველესი პრიორიტეტია არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსისთვისაც. ეს ჩვენთვის ახალი განზომილებაა“, — განაცხადა გიორგი გახარიამ.

ამასთან, გახარიას თქმით, ხელისუფლება საქართველოს როლს დასავლეთის პარტნიორად ხედავს. სიტყვით გამოსვლისას პრემიერმა შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების მნიშვნელობაზე და ამ კუთხით თანამშრომლობაზეც ისაუბრა. გიორგი გახარიამ ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს ევროკავშირთან მეტი თანამშრომლობა სჭირდება. პრემიერის განცხადებით, ევროკავშირისა და ნატოს წევრობა ერთადერთი გარანტიაა საქართველოს უსაფრთხოებისთვის და საქართველო მზად არის, „საშინაო დავალება“ შეასრულოს.

„სრულად ვაცნობიერებთ იმ ფაქტს, რომ რეალური პოლიტიკური საკითხების განხილვის ისეთი საშუალება არ გვაქვს, რაც ორგანიზაციის წევრობა ან ურთიერთობის გაღრმავებაა, მაგრამ, ჩვენის მხრივ, მზად ვართ, ჩვენი საშინაო დავალება გავაკეთოთ. მიგვაჩნია, ეს არის ჩვენი ქვეყნის შანსი, რომ ევროკავშირს დაუახლოვდეს. ჩვენთვის ევროკავშირში და ნატოში წევრობა ერთადერთი გარანტიაა ქვეყნის უსაფრთხოებისთვის. ასე ვხედავთ საქართველოში ევროპასთან თანამშრომლობის პერსპექტივას. რა თქმა უნდა, ყველაფერს გავაკეთებთ, საქართველო ყოველთვის იყოს განხილვის თემა, როდესაც თქვენ — ჩვენი მეგობრები, ევროპის მომავალზე ისაუბრებთ“, — განაცხადა გიორგი გახარიამ.

პრეზიდენტს იერუსალიმში მაცხოვრის საფლავის მცველის ორდენი გადაეცა

საქართველოს პრეზიდენტს იერუსალიმის პატრიარქმა თეოფილოს მესამემ იერუსალიმის მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ჯილდო — მაცხოვრის საფლავის მცველის ორდენი გადასცა.

პრეზიდენტმა და პატრიარქმა იმსჯელეს ასევე ქართველი მეცნიერების შესახებ და გადაწყდა, რომ ქართველ მეცნიერებს იერუსალიმის ეკლესიაში დაცულ ხელნაწერებსა და ხელოვნების ნიმუშებზე კვლევების ჩატარების შესაძლებლობა მიეცემათ და მათ საქმიანობას პატრონაჟს საქართველოს პრეზიდენტი გაუწევს. ამ საკითხის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა დახმარება იერუსალიმის პატრიარქს სთხოვა, რომლისგანაც საკითხის მოგვარების თანხმობა მიიღო.

სალომე ზურაბიშვილს იერუსალიმის პატრიარქი პირადად წარუძღვა მაცხოვრის საფლავის ეკლესიაში, სადაც სიწმინდეები მოილოცეს. საქართველოს პრეზიდენტმა იერუსალიმის პატრიარქს ფოკის მონასტერში დაწერილი ღვთისმშობლის ხატი აჩუქა.

პატრიარქის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია

— ამის შესახებ ჟურნალისტებს კლინიკა „მედონას“ ნეიროქირურგმა გიორგი ვალიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა.

ნეიროქირურგი გიორგი ვალიშვილი ამბობს, რომ პატრიარქს არა გეგმიური გამოკვლევა, არამედ მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია ჩაუტარდა წელის არეში, თუმცა საგანგაშო არაფერი აღმოჩნდა.

„დასვენების დროს პატრიარქი წელის ტკივილმა შეაწუხა, მოვინახულე და შევთავაზე, გადაგვეღო ტომოგრაფია. წელის ტკივილი ასაკობრივიც არის, მას დიდხანს უწევს დგომა თუნდაც წირვის დროს და აწუხებს წელის ტკივილი. ტომოგრაფიის შედეგის მიხედვით, საგანგაშო არაფერია, პატრიარქი კარგად არის“, — განაცხადა გიორგი ვალიშვილმა.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე დღეს ბათუმში, კლინიკა „მედინაში“ გადაიყვანეს. ბათუმ-ლაზეთის ეპარქიაში განაცხადეს, რომ კლინიკაში იგი გეგმიური გამოკვლევის მიზნით მივიდა და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

ნატო-საქართველოს კომისიამ წლიური ეროვნული პროგრამის შესრულებას მაღალი შეფასება მისცა

ბრიუსელში, ნატოს შტაბბინაში მუდმივი წარმომადგენლების დონეზე ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა გაიმართა, სადაც მხარეებმა საქართველოს 2019 წლის წლიური ეროვნული პროგრამის შეფასების დოკუმენტი და კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირებისა და შერიგების საკითხები განიხილეს.



შეხვედრაზე ქართულ მხარეს წარმოადგენდა საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვახტანგ მახარობლიშვილი და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ქეთევან ციხელაშვილი.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით სხდომის ფარგლებში მინისტრის პირველმა მოადგილემ ალიანსის წევრი ქვეყნების მუდმივ წარმომადგენლებს მიაწოდა ამომწურავი ინფორმაცია იმ რეფორმების შესახებ, რაც წლიური ეროვნული პროგრამის 2019 წლის დოკუმენტით გათვალისწინებული ვალდებულებების ფარგლებში განხორციელდა და ხაზი გაუსვა ქვეყნის მიერ მიღწეულ პროგრესს.

შეხვედრაზე მოკავშირეების მხრიდან უაღრესად პოზიტიურად იქნა შეფასებული საქართველოს მიერ წლიური ეროვნული პროგრამის შესრულება, ქვეყანაში განხორციელებული დემოკრატიული, ეკონომიკისა და თავდაცვის სექტორის რეფორმები.

სტეფ ბლოკი: შეშფოთებული ვარ შექმნილი ვითარებით და მისი გავლენით მოსახლეობაზე

ნიდერლანდების სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრი სტეფ ბლოკი საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას (EUMM) ეწვია. ინფორმაციას ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ავრცელებს.

„მისიის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ქ-ნი ქეით ფიერონი მიესალმა ბ-ნ ბლოკს და ნიდერლანდების დელეგაციას სამხრეთ ოსეთთან ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის ახლოს მდებარე სოფელ ოძისში. ქ-მა ფიერონმა მიმოიხილა მისიის მანდატი, ოპერაციები და დაკვირვებები, სადაც ხაზი გაუსვა მისიის ხელშეწყობით ოპერირებადი ცხელი ხაზის მნიშვნელოვან როლს კონფლიქტის ყველა მხარეს შორის კომუნიკაციის შენარჩუნებაში, ადგილზე უსაფრთხოების დასარეგულირებლად“, — აღნიშნულია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ინფორმაციაში.

მისივე ცნობით, მისიის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა მადლობა გადაუხადა ნიდერლანდების ხელისუფლებას ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიისადმი გაწეული მუდმივი წვლილისა და პოლიტიკური მხარდაჭერისთვის.

როგორც ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიაში აცხადებენ, ვიზიტის დროს სტეფ ბლოკი ასევე შეხვდა მისიაში მომუშავე ნიდერლანდელ დამკვირვებლებს და მადლობა გადაუხადა მათ და ზოგადად, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას, რეგიონალურ უსაფრთხოებასა და სტაბილურობაში მნიშვნელოვანი წვლილისთვის. ნიდერლანდების საგარეო საქმეთა მინისტრმა ასევე დადებითად შეაფასა მისიის განუწყვეტელი ძალისხმევა მონიტორინგისა და ანგარიშგების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რაც ასევე მოიცავს მისიის მიერ ახალი ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებას.

„მე შეშფოთებული ვარ ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გასწვრივ შექმნილი ვითარებით და მისი გავლენით ადგილზე მყოფ მოსახლეობაზე. ამრიგად, მე მტკიცედ ვუჭერ მხარს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას, როგორც სადამკვირვებლო მისიის გადამწყვეტი როლის შესრულებაში და კონფლიქტის მხარეებს შორის ნდობის აღდგენაში“, — განაცხადა ნიდერლანდების სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრმა სტეფ ბლოკმა.

თბილისის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი მილიარდ 500 მილიონ ლარამდე იზრდება

თბილისის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ოთარ გრიგოლიამ დედაქალაქის 2020 წლის ბიუჯეტის ზრდასთან დაკავშირებით ბრიფინგი გამართა.

როგორც მან განაცხადა, 2020 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი მილიარდ 500 მილიონ ლარამდე იზრდება. საკრებულოს წევრის ინფორმაციით, ეს თბილისის ისტორიაში უპრეცედენტოდ მაღალი რიცხვია.

„ბიუჯეტის ზრდა განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით. პირველი არის ის, რომ ქონების გადასახადებიდან შემოსული თანხების საპროგნოზო ნაწილი მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც იმას ნიშნავს, რომ გაიზარდა კომერციული ორგანიზაციების შემოსავლები და ეკონომიკური აქტივობა ქალაქში. შესაბამისად ეს ბიუჯეტის შემოსულობებზე აისახა. მეორე ეს არის EBRD-ის სესხი 80 მილიონი ევროს ოდენობით. ამ თანხას თბილისის მუნიციპალიტეტი დამატებით ავტობუსების შემოყვანისთვის დახარჯავს და ქალაქში ძველი, ამორტიზებული ტრანსპორტი ჩანაცვლდება,“ — განაცხადა ოთარ გრიგოლიამ.

საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის განცხადებით, გაზრდილი ბიუჯეტი ნიშნავს უფრო მეტ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, უფრო მეტ გამწვანებულ ტერიტორიებს, გაზრდილ სოციალურ პროგრამებს.

მესტიაში, სოფელ იდლიანში „ენერგოპრო ჯორჯიასა“ და შსს-ს წარმომადგენლებმა 600 ე.წ. მაინერი ამოიღეს

მესტიის მუნიციპალიტეტის ხაიშის თემის სოფელ იდლიანში 600 ე.წ. მაინერი ამოიღეს. როგორც მესტიის მუნიციპალიტეტის მერმა კაპიტონ ჟორჟოლიანმა განაცხადა, ე.წ. მაინერების ამოღების პროცესი გრძელდება.

მისივე ცნობით, წინა კვირაში ხაიშის თემში 2000-მდე მაინერი ამოიღეს, რამაც 2.5 მგვტ ელექტროენერგია გამოათავისუფლა! ე.წ. მაინერების ამოღება „ენერგოპრო ჯორჯიასა“ და შსს-ს მესტიის პოლიციის მიერ ერთობლივად გატარებული ღონისძიებების შედეგად მოხდა. ფაქტებზე დაწყებულია გამოძიება.

მესტიის მუნიციპალიტეტში, შარშანდელთან შედარებით, ელექტროენერგიის მოხმარება წელს ოთხჯერ გაიზარდა, რამაც სერიოზული პრობლემები გამოიწვია. გახშირდა ელექტროენერგიის გათიშვა, ძაბვის ვარდნა, სერიოზული საფრთხის ქვეშ დადგა ტურისტული სეზონიც...

„მკვდარ შვილს ჰყიდის და მე რას მიზამს?!“

თბილისის საქალაქო სასამართლოში დავით სარალიძის ჯგუფურად დამამძიმებელ გარემოებაში მკვლელობაში ბრალდებულ მიხეილ კალანდიას საქმეზე გუშინ ხმაური იყო.

დაპირისპირება მიხეილ კალანდიასა და ზაზა სარალიძეს შორის მოხდა. საქმეზე ბრალდების მხარის მოწმის სტატუსით მირზა სუბელიანის შვილი იკითხებოდა. მოწმის დაკითხვის დროს ზაზა სარალიძის მამამ მიხეილ კალანდიას ადვოკატს მიმართა, რომ „მოწმის ჩვენება საკმარისია მისთვის“. ზაზა სარალიძის ქმედებას დარბაზში თენგიზ კალანდიასა და ლუკა კალანდიას მხრიდან უკმაყოფილება მოჰყვა. ისინი დარბაზიდან სარალიძეს გაეკიდნენ.

„მკვდარ შვილს ჰყიდის და მე რას მიზამს? თავისი შვილის სულს ყიდის ყოველდღე, ქორვაჭარი“, — განაცხადა მიხეილ კალანდიას მამამ... ინციდენტში სასამართლოს მანდატურის სამსახური ჩაერია.

* * *

„გთხოვთ, ბატონი ზაზა პროცესზე აღარ დაუშვათ, რადგან მისი მხრიდან პროვოკაციულ მოქმედებებს აქვს ადგილი და ყველაფრის მომთმენი ჩემი ოჯახის წევრები მდგომარეობიდან გამოჰყავს“, — ამ სიტყვებით მიმართა მოსამართლეს ხორავას ქუჩის საქმეზე ბრალდებულმა მიხეილ კალანდიამ და მოითხოვა, რომ ზაზა სარალიძე მის სასამართლო პროცესებს აღარ დაესწროს.



„ქართულ ოცნებას“ რა ეგონა? მას შემდეგ, რაც მთელი 2019 წელი პოლიტიკურ შეცდომებში გაატარა, ეს მათ რეიტინგზე არ იმოქმედებდა? თუმცა „ქართული ოცნების“ რეიტინგის დაცემა სულაც არ ნიშნავს, რომ წამყვანი ოპოზიციური პარტიების რეიტინგი იზრდება“, – აცხადებს პოლიტოლოგი **ვახტანგ ძაბირაძე** და განმარტავს, რის ხარჯზე გაიხანგრძლივებს პოლიტიკურ ცხოვრებას მმართველი გუნდი 2020 წელს.

ვახტანგ ძაბირაძე: ყოველთვის „ბლეფი“ იყო იმაზე საუბარი, რომ ოპოზიცია გაერთიანდებოდა...

– ოპოზიციის მკვეთრ შეფასებებს თუ ვირწმუნებთ, ბიძინა ივანიშვილს მძიმე პოლიტიკური დღეები ელის და 2020 წელი „ქართული ოცნებისთვის“ აპოკალიფსის წელი იქნება. უფრო მეტიც, ეს მთავრობა ამ შემადგენლობით არჩევნებს ვერ ჩაატარებს და მთავრობის ბევრი წევრი გამოიცვლება.

– 2020 წელი მძიმე იქნება არა მარტო ჩვენი მთავრობისთვის, არამედ მთლიანად ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიოსთვის. ყველანაირი სიმპტომი ამაზე მეტყველებს, მათ შორის, ცხელი წერტილები ჩვენს უახლოეს გარემოცვაში და მსოფლიოში ძალთა ახალი განლაგება, იქნება ეს ახლო აღმოსავლეთი თუ აფრიკის ჩრდილოეთი. ჩვენ მაინც ორიენტირებულნი ვართ საქართველოში შექმნილ სიტუაციაზე, ამიტომ გასაგებია ყველა მოსაზრება, რომლის თანახმადაც, 2020 წელი „ოცნებისთვის“ ურთულესი იქნება. ამ ყველაფერს თითქოს აქვს საფუძველი, თუმცა მე მაინც არ ვფიქრობ, რომ, დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ოცნება“ კარგავს რეიტინგს და საკმაოდ მძიმე ვითარებაშია, ეს იქნება მისი დასასრულის წელი. არ არის ასე, ჯერჯერობით, ყოველ შემთხვევაში, მიმდინარეობს რადიკალიზაცია, ძალთა გადაჯგუფებები, პოლარიზება, მაგრამ საკმაოდ მძიმე ვითარებაა არა მარტო „ქართულ ოცნებაში“, არამედ ოპოზიციაშიც, როგორც სტრუქტურული, ისე ელექტორალური თვალსაზრისით.

ის, რომ „ოცნებამ“ დაკარგა რეიტინგი, სულაც არ ნიშნავს, რომ ეს რეიტინგი ოპოზიციის სასარგებლოდ გადავიდა. როდესაც ოპოზიციონერები ლაპარაკობენ ჯამურ უმრავლესობაზე, ჯამური უმრავლესობა ბევრს არაფერს ნიშნავს, რადგან ჯამური უმრავლესობა, რამდენადაც მახსოვს, მათ 2016-შიც ჰქონდათ. თუ არ ვცდები, მაშინ 48% აიღო „ქართულმა ოცნებამ“, მაგრამ მიიღო საკონსტიტუციო უმრავლესობა იმ სისტემის ხარჯზე, რა სისტემითაც ის დღეს აპირებს არჩევნების ჩატარებას. დღეს „ოცნებას“ საკონსტიტუციო უმრავლესობა არ სჭირდება, მას მინიმუმ სჭირდება 76 მანდატი, ხოლო, თუ 80 მანდატს აიღებს, ძალიან მშვიდად და წყნარად იქნება „ოცნების“ საქმე. გარდა ამისა, არსებობს კონსტიტუცია, რომელსაც ხელისუფლება, როცა საჭიროა, მაშინ იყენებს თავის სასარგებლოდ. ბუნებრივია, ახლაც გამოიყენებს ამას და არჩევნებში პირველ ადგილზე გასვლა „ქართულ ოცნებას“, რა თქმა უნდა, შეუძლია. მას აქვს შანსი, დააკომპლექტოს მთავრობა.

– მაგრამ არც ოპოზიციაა გულხელდაკრეფილი. ოპოზიცია პოლიტიკურ მეორედ მოსვლას ჰპირდება მმართველ გუნდს.

– მე არ ვიცი, რა იქნება ხვალ, რა პროცესები წარიმართება, რა გადაწყვეტილებას მიიღებს ოპოზიცია, მაგრამ დღესდღეობით ასეთი ვითარებაა. ლომის წილი არის იმაზე, თუ რას გადაწყვეტს და როგორ მოიქცევა ოპოზიცია, ასე რომ, ოპოზიციისთვისაც რთული წელია, ამიტომ ოპოზიციის მხრიდან ასე ხაზგასმით თქმა, რომ ჩვენ ახლა არჩევნებს მოვიგებთ, მთლად ასეც არ არის. 2020 წლის არჩევნებს უნდა შევხედოთ უახლოესი პერიოდიდან გამომდინარე, ანუ ისე, როგორც ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნების პირველი და მეორე ტური ჯამურად. ამაში ვგულისხმობ, რომ პროპორციულ ნაწილში არჩევნების ხმები გადანაწილდება ისე, როგორც გადანაწილდა საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში, ანუ იქნება მრავალი მონაწილე სუბიექტი, ხოლო მაჟორიტარულ ნაწილში არჩევნები ჩატარდება ისე, როგორც ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური. თუ რაიმე პარალელის გავლება და პროგნოზირება გვინდა, უნდა ავიღოთ საპრეზიდენტო არჩევნების როგორც პირველი, ისე მეორე ტური, რადგან მაჟორიტარულში თუ იქნება მეორე ტური, ძირითადად იქნებიან „ქართული ოცნების“ კანდიდატი და ოპოზიციის კანდიდატი.

– ოპოზიციის კანდიდატები აპირებენ, რომ 2020-სთვის ერთმანეთს ხელი არ შეუშალონ. ეს ოპოზიციისთვის სასარგებლო იქნება?

– გასაგებია, რომ დღეს ლაპარაკია იმაზე, ჩვენ მოვილაპარაკებთ და შევთანხმდებითო, მაგრამ ამ შეთანხმებასაც თავისი სუსტი მხარე აქვს, რადგან „ქართული ოცნება“ ილაპარაკებს იმაზე, რომ ესენი არიან „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერები და ისინი „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერებად მოგვევლინებიან მაშინაც, თუკი პარლამენტში გავლენ. ამიტომ რთული ვითარებაა ოპოზიციურ ფლანგზეც.

– თუმცა ისიც ფაქტია, რომ პანიკა შეიქმნა „ქართულ ოცნებაში“ „ენ-დი-აი“-ს კვლევისა და რეიტინგის კატასტროფული ვარდნის გამო. მამუკა მდინარაძეც ამერიკის „ენ-დი-აი“-ს დირექტორ ლორა ტორნტონს შემთხვევით არ შეხვედრია.

– მე ვთვლი, რომ „ენ-დი-აი“-ს კვლევა საკმაოდ ახლოსაა ჭეშმარიტებასთან, ტენდენციები ზუსტია. „ქართულ ოცნებას“ რა ეგონა? მას შემდეგ, რაც მთელი 2019 წელი პოლიტიკურ სისულელეებში გაატარა, ეს მის რეიტინგზე არ იმოქმედებდა? წელანაც ვთქვი, რომ „ქართული ოცნების“ რეიტინგი ეცემა, მაგრამ წამყვანი ოპოზიციური პარტიების რეიტინგიც არ იზრდება. გამონაკლისი შეიძლება იყოს „ევროპული საქართველო“. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ „ლელო“ არ მონაწილეობდა ამ გამოკითხვებში. თუ რეიტინგის ვარდნაზეა საუბარი, ვარდნა მოხდა, როგორც „ქართული ოცნების“, ისე „ნაცმოძრაობის“ რეიტინგის. ოპოზიციას თეორიულად შეუძლია მოიგოს ეს არჩევნები, დიდი ალბათობაა ამის, მაგრამ იმდენი რამ უნდა გააკეთოს ამისთვის ოპოზიციამ, რომ ძნელი წარმოსადგენია. როდესაც ერთი კანდიდატის გარშემო შეთანხმებაზეა ლაპარაკი, დღეს ოპოზიციაში „ნაცმოძრაობას“ ყველაზე უკეთ აქვს აწყობილი სტრუქტურა და ყველაზე მეტი მხარდამჭერი ჰყავს, ანუ „ნაცმოძრაობა“ მთავარი ოპოზიციური პარტიაა. ყველა არჩევნები და გამოკითხვები ამ რეალობას ადასტურებს, მაგრამ ნახეთ, რა პრობლემის წინაშე დგას იგივე „ნაცმოძრაობა“? „ნაცმოძრაობამ“ უნდა იმუშაოს მაჟორიტარობის იმ კანდიდატზე, რომელიც მისი არაა. იქ, სადაც ღიად იქნება დაპირისპირებული „ნაცმოძრაობა“ და „ქართული ოცნება“, 80%-ს მოიგებს „ქართული ოცნება“, ეს კარგად ესმით ოპოზიციაში და ამიტომ ლაპარაკობენ შეთანხმებით კანდიდატზე, მაგრამ პოლიტიკური ლიდერები საერთო კანდიდატებზე რომც შეთანხმდნენ, საარჩევნო მუშაობის დროს, ვინც რეალურად უნდა უზრუნველყოს ელექტორატის მოზიდვა და ხმების დაცვა უბანზე, ისინი იმუშავებენ კი საერთო კანდიდატისთვის? ისინი ხომ ძირითადად არიან „ნაციონალები“, ადამიანურად რთულია, კაცი აიძულო, თავგამოდებით იმუშაოს და მხარი დაუჭიროს იმ კანდიდატს, რომელიც მისი პარტიის წევრი არაა. ეს პრობლემა უთუოდ დადგება ოპოზიციის წინაშე და კიდევ უფრო გამწვავდება.

რაც თავი მახსოვს, 90-იანი წლებიდან მოყოლებული, სულ იყო ლაპარაკი იმაზე, რომ ოპოზიცია უნდა გაერთიანებულიყო და ერთმანეთისთვის დაეთმო, მაგრამ ამან არასდროს იმუშავა.

– ოპოზიციის გაერთიანება ერთმანეთზე ეჭვიანობის გამო, თუ სხვა ფაქტორების გამო ვერ ხერხდებოდა?

– საამისოდ უამრავი ფაქტორი არსებობდა. არ მუშაობს სურვილი, რომ მეორე ტურში ყველამ ერთ კანდიდატს დავუჭიროთ მხარი. ზედა რგოლებში რომც მოხდეს შეთანხმება, ეს შეთანხმება ძირითადად მაინც არ მუშაობს იმ ადამიანებში, ვინც კარდაკარ უნდა იაროს, აგიტაცია აწარმოოს, უბანზე ხმები დაიცვას. თუმცა ზედა რგოლშიც ვერასდროს ხდებოდა შეთანხმება და, მაპატიეთ ამ გამოთქმისთვის, ყოველთვის „ბლეფი“ იყო ეს შეთანხმებები. ეს არის ანატომია არჩევნების 90 წლიდან მოყოლებული დღემდე.

– გამოდის, „ოცნებას“ მაინც კარგად ჰქონია საქმე 2020-ში?

– ამიტომაც ვამბობ, რომ ასე გადაწყვეტილი პროცესები ოპოზიციის სასარგებლოდ დღეს არ არის. ზუსტად შემიძლია გითხრათ, ხვალ ან ზეგ არჩევნები რომ იყოს, „ქართულ ოცნებას“ ყველაზე დიდი შანსი აქვს, მოიგოს ეს არჩევნები. თანაც, პირველ ადგილზე გასული აყალიბებს მთავრობას. თუ 3-4 პარტია არჩევნებში გავა, რაც პროპორციული არჩევნების შემდეგ გამოჩნდება, მაშინ „ქართულ ოცნებას“ მანევრირების ძალიან დიდი შანსი აქვს. ამიტომ არაპროდუქტიული იყო ლაპარაკი ოპოზიციაში და ახლა ცოტა მინელდა საუბარი იმაზე, თუ ვის დაუჭერენ მხარს – „ქართულ ოცნებას“ თუ კოალიციას. კოალიცია იმისაა, რომ ნებისმიერი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც არჩევნებში გავა, იბრძოლებს იმისთვის, რომ ჰქონდეს რაც შეიძლება მეტი მინისტრის პორტფელი. ვინც მეტ პორტფელს შესთავაზებს, რა თქმა უნდა, მას დაუჭერს მხარს კოალიცია, რად უნდა ამას ბევრი ლაპარაკი. ახლა ვიკითხოთ, „ნაცმოძრაობას“ თუ აქვს რაიმე უპირატესობა „ქართულ ოცნებასთან“ მიმართებით? არანაირი, არც მორალური, არც ზნეობრივი, პირიქით, „ქართული ოცნება“ დაეშვა „ნაცმოძრაობამდე“, მაგრამ „ნაცმოძრაობა“ არ ამაღლებულა იმ სტატუსიდან, რა სტატუსითაც ის გაუშვეს 2012 წელს...

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

თამარ ჩერგოლეიშვილი: ამ კაცს არც ღირსება აქვს, არც თავმოყვარეობა

ასე ეხმიანება ჟურნალისტი თამარ ჩერგოლეიშვილი „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის გრიგოლ ვაშაძის გაკეთებულ განცხადებას.

„გრიგოლ ვაშაძეს გამოუცხადებია, პროპორციული არჩევნების პირობა „ნაცმოძრაობის“ დამსახურებაო. ამ კაცს არც ღირსება აქვს, არც თავმოყვარეობა. მაგისმა ხარბმა ბელადმა მოსყიდულები და შტერები გვიძახა ყველას, ვისაც პროპორციული გაგვიხარდა.

P. S. აქვე ვაშაძეზე სამართლიანად განრისხებულ პოლიტიკოსებს და აქტივისტებს მივმართავ – პროცესს ნუ დააზიანებთ ამ ნაგვის გამო, უბრალოდ – სხვებს ელაპარაკეთ და ამ სიცარიელეს ანგარიში არ გაუწიოთ. ეგდოს თავისთვის – მაქსიმალურად იზოლირებული“, – წერს თამარ ჩერგოლეიშვილი.

სოსო მანჯავიძე: ოპოზიცია იკვებება ნაძარცვი ფულით, მაგრამ მთავრობა არაფერს აკეთებს დამნაშავეების დასასჯელად!..

მიმდინარე წელი საქართველოსთვის რამდენიმე პოლიტიკური ფაქტორით არის გამორჩეული. ამ ფაქტორებიდან უმთავრესი შემოდგომაზე გასამართი საპარლამენტო არჩევნებია. მანამდე ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ ქვეყანას წინ რთული წინასაარჩევნო პერიოდი ელის. რამდენად აქვს ოპოზიციურ სპექტრს არჩევნებამდე ან არჩევნებით ხელისუფლების შეცვლის რესურსი, რამდენად მაღალია ალბათობა მმართველი გუნდიდან ლიდერების წასვლის და როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები ოკუპირებულ აფხაზეთში, სადაც უკვე ღიად ალაპარაკდნენ თბილისთან დიალოგის აუცილებლობაზე, ამ და კიდევ სხვა მრავალ საინტერესო საკითხთან დაკავშირებით, For.ge-სთან ექსპერტმა სოსო მანჯავიძემ ისაუბრა.

— ბოლო პერიოდში რამდენიმე ქართულ მედიასაშუალებაში აქტიურად ვრცელდება ინფორმაცია, რომ შესაძლოა, ბიძინა ივანიშვილმა შეცვალოს გიორგი გახარია პრემიერ-მინისტრის პოსტზე და აგრეთვე კახი კალაძემ დატოვოს „ქართული ოცნება“. რამდენად რეალურად მიგაჩნიათ აღნიშნული ინფორმაცია?

— ბუნებრივია, გამორიცხვით არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება, მაგრამ მეორე საკითხია, როგორ აისახება ეს ყველაფერი საქართველოზე, დადებითად თუ უარყოფითად. მე ვთვლი, რომ ეს პროცესი არ იქნება სასარგებლო ქვეყნისთვის. ვფიქრობ, თუ ეს მოხდა, იგი გამოიწვევს მოსახლეობაში არასაიმედოობისა და ჩიხური მდგომარეობის განცდას, კიდევ უფრო გაამძაფრებს პოლიტიკური კრიზისის ილუზიას, რომელიც ისედაც აქვს ოპოზიციას შექმნილი. რა თქმა უნდა, არავის არ სიამოვნებს მუდმივი გადაადგილებები ხელისუფლების მმართველ ეშელონებში ასე სწრაფად და ქაოტურად. თუმცა, მე მაინც მიმაჩნია, რომ ეს მხოლოდ ოპოზიციური სპექტრის და მათ მიერ მართული მედიის მიერ შემოგდებული ჭორია და სიმართლეს არ შეესაბამება.

— იმ შემთხვევაში, თუკი ეს გადაადგილებები მაინც მოხდა, იმოქმედებს თუ არა ოპოზიციაზე დადებითად და რა სარგებელი შეიძლება ნახოს იგივე „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ამ პროცესით?

— ბუნებრივია, „ნაციონალური მოძრაობა“ ეცდება ეს ყველაფერი თავის სასიკეთოდ გამოიყენოს და მოსახლეობაში უიმედობის განცდა გააღვივოს. ისინი ყველაფერზე არიან წამსვლელები ხელისუფლებაში დასაბრუნებლად, მაგრამ ჩვენ კარგად უნდა გავიაზროთ, თუ რა მოხდება იმ შემთხვევაში ჩვენს ქვეყანაში თუ აღნიშნული ძალა მობრუნდება ხელისუფლებაში. ამავდროულად, კახი კალაძეს ძალიან დიდი გავლენა აქვს „ოცნებაში“. იგი ფლობს ძალიან დიდ ფინანსურ და ადამიანურ რესურსს პარტიაში. „ოცნების“ ძალიან ბევრი სახე სწორედ მისი შერჩეულია. ამიტომ მისი წასვლა პარტიიდან, ბუნებრივია, მნიშვნელოვნად დაასუსტებს მმართველ გუნდს, თუმცა მე მაინც არ ვფიქრობ, რომ ეს ამ ეტაპზე შესაძლებელია.

— გავრცელდა ინფორმაცია, რომ ოპოზიცია 4 თებერვლიდან კვლავ აპირებს დედაქალაქის ქუჩებში ფართომასშტაბიანი აქციების დაწყებას. როგორ ფიქრობთ, რამდენად აქვთ მათ იმის რესურსი, რომ რაიმე მნიშვნელოვან შედეგს მიაღწიონ ამ აქციების ფონზე?

— ეს ოპოზიცია ქვეყნის განვითარების სერიოზული მუხრუჭია. ეს დესტრუქციული ძალა ყველანაირად ეცდება, თავისი იაფფასიანი შოუებით რაიმე შედეგის მიღწევას, თუმცა მათ არანაირი რესურსი არ გააჩნიათ თუნდაც რევოლუციური პროცესების დაწყებისა. ისინი საკუთარი ეგოისტური მოთხოვნებით, არაადეკვატური ქცევებით და უპასუხისმგებლობით, არ აძლევენ საზოგადოებას რეალურად ოპონირების საშუალებას.

— ოპოზიციის გეგმები და ქმედებები ფართო საზოგადოებისთვის ისედაც გასაგებია. თუმცა ქვეყნის პოლიტიკურ დღის წესრიგზე, ბუნებრივია, პასუხისმგებლობა ეკისრება ხელისუფლებას. რამდენად ადეკვატურია დღეს ხელისუფლება და რა არის მისი სუსტი მხარეები თქვენი აზრით?

— ოპოზიცია რომ ასეთია და მათი დესტრუქციული ქმედებები, რა თქმა უნდა, ხელისუფლების ბრალია. ცხადია, რომ მმართველ ძალას სჭირდება და აწყობს ასეთი ოპოზიციის არსებობა ქვეყანაში. ისინი ყველანაირად ცდილობენ ხელოვნურ სუნთქვაზე ჰყავდეთ დღევანდელი ოპოზიცია, შეუქმნან მათ სასათბურე პირობები არსებობისთვის. პარალელურად კი, ყველაფერს აკეთებენ, რომ ქვეყანაში არ გამოჩნდეს რეალური ალტერნატიული ძალა. მათ არ აწყობთ ნამდვილი ოპოზიციური სპექტრის არსებობა ქვეყანაში. ურჩევნიათ, ჰყავდეთ იგივე „ნაციონალური მოძრაობა“ და აცოცხლებენ ამ პარტიას ხელოვნურად. ერთი მხრივ, მთავრობა ამბობს, რომ ოპოზიცია იკვებება ნაძარცვი ფულით და მეორე მხრივ არაფერს აკეთებს ამ ნაძარცვი ფულის გასაკონტროლებლად და დამნაშავეების დასასჯელად. არადა, სწორედ, ნაძარცვი ფულით ხსნიან ისინი სხვადასხვა მედიასაშუალებებს.

— თქვენ მიერ დახატულ სურათში, სადაც ხელისუფლებას აწყობს და მეტიც, სჭირდება ასეთი ოპოზიცია, ლოგიკურად ოპოზიციაც შეგუებულია მის ხვედრს, რომ ისინი ველარ მოვლენ ხელისუფლებაში, რადგანაც არ აქვთ ამის რესურსი. მაშინ რის მიღწევას ცდილობენ ამ საპროტესტო აქციებით?

— მათ უნდა მეტი ადგილი საკანონმდებლო ორგანოში, რაც ავტომატურად, მეტ გავლენას და პერსპექტივას ნიშნავს სამომავლოდ. თუმცა რამდენად აქვთ არჩევნების გზით ზედმეტი მანდატების აღების რესურსი, ეს მეორე ამბავია. ამიტომაც მათი მიზანია დესტრუქციის გზით მიიღონ სასურველი. სასაცილოა, რომ სწორედ მათი ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში გაიზარდა მაჟორიტარი დეპუტატების რაოდენობა პარლამენტში. ახლა კი, კიდევ უფრო მეტად გაზრდა სურთ და ხელისუფლების მიერ შეთავაზებული 100 პროპორციული და 50 მაჟორიტარული მანდატი არ მოსწონთ. სხვათა შორის, ეს შეთავაზება, იდეის დონეზე, პირველმა მე გავაჟღერე ტელევიზიით 22 ნოემბერს. ჩემი აზრით, 3-მილიონიან ქვეყანას 150-კაციანი პარლამენტი საერთოდ არ სჭირდება და ვფიქრობ, რომ 100 დეპუტატი იქნება იდეალური ჩვენნაირი ქვეყნისთვის.

— აქვს თუ არა დასაყრდენი ქართულ ოპოზიციას დასავლეთში?

— მოდით, ავიღოთ აშშ-ის მაგალითი. ტრამპის ადმინისტრაცია საკმაოდ კარგად არის განწყობილი ხელისუფლების მიმართ. ამის ნათელი დასტურია გაზრდილი ფინანსური დახმარება აშშ-ის მიმდინარე წლის ბიუჯეტში. ასეა ევროკავშირის წევრ ქვეყნებშიც. ოპოზიციის დასაყრდენი ძალა, რეალურად, არის მხოლოდ ნეოლიბერალური ფრთა, რომელმაც მშვენივრად იცის ტრამპის შანსები მომდევნო არჩევნებში. ისინი მშვენივრად ხვდებიან, რომ ტრამპი შემდეგ არჩევნებსაც მოიგებს და ამიტომ ცდილობენ, საქართველოში ხელისუფლების შეცვლისა და ნეოლიბერალური ძალების მოსვლით ჩვენი ქვეყანა გახადონ ვაჭრობის საგანი რუსეთთან, როგორც ეს მოხდა 2008 წელს. თავად ტრამპის ადმინისტრაციას საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევისთვის ნამდვილად არ სცალია. დიდად არც აინტერესებთ, საქართველოში როგორი სისტემით ჩატარდება არჩევნები, შერეულით, მაჟორიტარულით თუ პროპორციულით. თავადაც უამრავი პრობლემა აქვთ მსოფლიოს ყველა კუთხეში. იგივე ირანის, ერაყის და კორეის კრიზისები რად ღირს.

— მინდა ასევე გკითხოთ ბოლო პერიოდში ჩვენს ოკუპირებულ რეგიონებში შექმნილ ვითარებაზე. აფხაზეთში ოპოზიციამ შეძლო და მიიღო სასურველი — ხაჯიმბას გადადგომა და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები. ისინი აქტიურად ალაპარაკდნენ თბილისთან დიალოგის აღდგენაზე. როგორ ფიქრობთ, რამდენად აქვს ამ დიალოგს პერსპექტივა და რა ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგას ამისთვის ჩვენმა ხელისუფლებამ?

— თუ ეს მოხდა და აღდგა სახალხო დიპლომატია, ბუნებრივია, ეს ძალიან კარგი იქნება ორივე მხარისთვის, როგორც უშუალოდ აფხაზებისთვის, ისე ქართველებისთვისაც. მაგრამ ვინაიდან და რადგანაც, რუსული გავლენა ძალიან დიდია აფხაზეთში, შესაბამისად, დიალოგის პერსპექტივაც ბუნდოვანია. მოგეხსენებათ, ყოველწლიურად 65 მილიონ დოლარს ხარჯავს რუსეთი აფხაზური ელიტის შესანახად, რაც საკმაოდ დიდი თანხაა. ასევე არის მეორე ფაქტორიც, გამარჯვებული ოპოზიციური ფრთა „ამცახარა“ სრულად არის დაკომპლექტებული ყოფილი მებრძოლებით, მათით, ვინც ქართველების წინააღმდეგ იბრძოდა და, რაღა თქმა უნდა, ისინი არც კი განიხილავენ ქართველებთან ერთად ძმურ სახელმწიფოში ცხოვრებას. ისინი ჩვენ აღგვიქვამენ როგორც მტრებს. თუმცა არის აგრეთვე საპირისპირო ფაქტორიც — გალის რაიონი, მოგეხსენებათ, მთლიანად ქართველებით არის დასახლებული. აგრეთვე საკმაოდ არიან ქართველები ოჩამჩირისა და ტყვარჩელის რაიონებშიც. ეს კი საკმაოდ დიდი ელექტორატია წინასაარჩევნოდ. დიპლომატიაზე ხაზგასმით, მათ, სწორედ, ამ ადამიანების გულის მოგება სურთ. ჩვენმა ხელისუფლებამ, პირველ რიგში, რაც უნდა გააკეთოს არის ის, რომ დაუკანონოს დევნილ მოსახლეობას აფხაზეთში დარჩენილი მათივე ქონება. ასევე უნდა ეძებოს და გააქტიუროს პოლიტიკური კავშირები. უნდა ეცადოს მათთან დიალოგის სერიოზული დაწყება...

ესაუბრა
დათო დოლიძე

ოპოზიციას მოუწევს, პროპორციული საარჩევნო სისტემა გამოიგლოვოს

„ოპოზიცია თუ არ დათანხმდება მმართველი გუნდის უკანასკნელ შეთავაზებას საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით, **მოუწევთ, პროპორციული საარჩევნო სისტემა „გამოიგლოვონ“,** — აცხადებს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი.

„ოპოზიცია ჩვენს შემოთავაზებაზე თუ არ წამოვა, მოუწევთ, რომ ერთი ცნობილი ფილმისა არ იყოს, გამოიგლოვონ ეს თავიანთი პროპორციული, უბარიერო სისტემა და ამ მოდელის ფარგლებში დაიწყონ არჩევნებისთვის მომზადება“, — განაცხადა თეა წულუკიანმა POSTV-ის ეთერში. ცნობისთვის, „ქართულმა ოცნებამ“ ოპოზიციას 100/50-ზე ბალანსი შესთავაზა, რაც პარლამენტში 100 დეპუტატის პროპორციული საარჩევნო წესით და 50 დეპუტატის მაჟორიტარული წესით არჩევას გულისხმობს. საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით შექმნილი პოლიტიკური კრიზისის ფონზე ხელისუფლება და ოპოზიცია დიპლომატიური კორპუსის თანდასწრებით 20 დეკემბერს ერთმანეთს მეოთხედ შეხვდა.

დღეს მოქმედი საარჩევნო სისტემით, 77 დეპუტატს პროპორციული წესით ირჩევენ, 73 დეპუტატს კი — მაჟორიტარული წესით. თავის მხრივ, ოპოზიცია მმართველ გუნდს ე.წ გერმანულ მოდელზე გადასვლას სთავაზობს.

საქართველოში „ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის“, იგივე „ენდიაის“ საქმიანობა, საზოგადოებაში ყოველთვის ბადებს კითხვის ნიშნებს. მის მიერ სხვადასხვა დროს ჩატარებული კვლევები, თითქმის მუდმივად აჩენს მიკერძოებულობის განცდას და ეჭვებს – ხომ არ მოქმედებს ეს ესოდენ „ავტორიტეტული“ ორგანიზაცია კონკრეტული პარტიებისა თუ პოლიტიკოსების სასარგებლოდ?

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს იმ პირების არსებობა-არარსებობის საკითხი, ვისაც მათ კვლევებში ოდესმე მიუღია მონაწილეობა: არსად არასდროს არ აღმოჩენილა ერთი ადამიანიც კი, ვინც ოდესმე „ენდიაის“ ჰყავს გამოკითხული – ყოველ შემთხვევაში, სოციალურ ქსელში ეს თემა ამ დრომდე არ კარგავს აქტუალობას და საკმაოდ დიდია მათი რიცხვი, ვინც ამ „მითიურ გამოკითხულ ადამიანებს“ დღემდე სანთლით ეძებს...

„მარშალპრესმა“ მოახერხა და ჩაწერა ადამიანი, რომელიც რამდენიმე წლის წინათ, სწორედ „ენდიაიში“ მუშაობდა. მან ჩვენ დეტალურად გაგვარკვია ვითარებაში და აღნიშნული ორგანიზაციის კულისებში ჩაგვახედა. ცხადია, რესპონდენტის ვინაობას გასაგები მიზეზების გამო შეგნებულად არ ვწერთ, თუმცა, პირობას გაძლევთ, რომ ექსკლუზიური ინტერვიუ, რომელსაც თქვენ ახლა წაიკითხავთ, ფარდას ბევრ ძალიან მნიშვნელოვან დეტალს ახდის.

„ენდიაის“ ყოფილი თანამშრომლის ინტერვიუ, რომელიც ბევრ მნიშვნელოვან დეტალს ხდის ფარდას

ერთი უცხოელი „მწვრთნელი“ ახალგაზრდა კაციც გვყავდა, ინგლისურ ენაზე გვიტარებდა ტრენინგებს და ისიც კი „ნაციონალურ მოძრაობაზე“ საუბრობდა აღმატებულ კონტექსტში – როგორ დააახლოვა სააკაშვილმა საქართველო ევროპასთან, რომ NATO-ს კარი ღიაა და მოკლედ, სულ ამ კონტექსტში „გვიბურღავდა“ ტვინს, თუ როგორი მაგარია „ნაციონალური მოძრაობა“. „ქართულ ოცნებაზე“ კი იძახდა – ეს პრორუსული ძალაა და ჩვენს პატრიოტულ გრძნობებზე თამაშობდა – არ უნდა დავუშვათ ხელისუფლებაში პრორუსული ძალის მოსვლაო...

ინკოგნიტო წყარო:

– 2012 წლის არჩევნების წინა პერიოდი იყო. „ენდიაის“ წარმომადგენლები პირველკურსელებს ეძებდნენ. ჩემი ოჯახის ნათესავი მუშაობდა „ენდიაიში“, ერთ-ერთი რეგიონის კურატორი იყო და მან უთხრა ორგანიზაციას ჩემზე – პირველკურსელია და შეძლებს მუშაობასო. იმ დროს ქუთაისში ვცხოვრობდი. მე და ჩემი თანაკურსელი შეგვარჩიეს, ჟურნალისტიკაზე ვსწავლობდით და ესეც მოეწონათ, აქტიური პროფესია აქვთ არჩეული და გამოგვადგებიანო.

ქუთაისში, „ნაციონალური მოძრაობის“ სათავო ოფისის შენობაში ვიკრიბებოდით ხოლმე – აი, იმ შენობაში, სადაც ცოტა ხნის წინათ „ქართული ოცნების“ მომხრეებმა პროტესტი გამართეს, ცოცხები მიიტანეს და კვერცხები დაუშინეს. „ენდიაის“ ტრენინგებისთვის გამოყოფილი სივრცე ამ შენობაში მეორე სართულზე იყო, „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისი კი – პირველ სართულზე.

– მოდით, დაწვრილებით მოგვიყევით: რა ხდებოდა იმ ტრენინგებზე?

– ტრენინგებს ორი ქალბატონი გვიტარებდა, რაც დღეში, დაახლოებით, 2-3 საათი გრძელდებოდა. ლექციების შემდეგ მივდიოდით და სახლში ძალიან გვიან ვბრუნდებოდით. გვასწავლიდნენ, რა ინტონაციით და რა ფორმით უნდა დაგვესვა კითხვები – მაგალითად, ინტერვიუერთან საუბრისას „ნაციონალური მოძრაობა“ ხმამაღლა, გამართულად, გამოკვეთილად, „ქართული ოცნება“ კი – ხმადაბლა და სწრაფად უნდა გვეხსენებინა. გამოკითხვის პროცესში ჯერ ხომ „ნაციონალური მოძრაობა“ უნდა გვეხსენებინა გამოკვეთილად, მერე უკვე მისი სატელიტი პარტიები და სულ ბოლოს, ძალიან ხმადაბლა და სწრაფად – „ქართული ოცნება“. იმასაც კი გვასწავლიდნენ, როგორ უნდა გაგვეღიმა, რომ ადამიანებს სახლში შევეშვით. გვასწავლიდნენ იმასაც, რომ რესპონდენტთან ჩვენი პოლიტიკური შეხედულებები უნდა დაგვედასტურებინა – მაგალითად, გამოსაკითხ პირებს ასეთ რაღაცებს ვეუბნებოდით: თქვენ შევარდნაძის დროს შუქი ხომ არ გქონდათ? გზები ხომ არ იგებოდა? პენსია რა ცოტა გქონდათ, გახსოვთ? ახლა ხომ შუქიც გაქვთ და გზებიც ხომ იგება? პენსიაც ხომ გაიზარდა? ინტერვიუერები, რა თქმა უნდა, გვეთანხმებოდნენ – კი, შუქი გვაქვს, პენსიაც გაგვეზარდა... აი, მერე უკვე საუბარი იქით მიგვყავდა – ეს ყველაფერი ხომ მიხეილ სააკაშვილმა გააკეთა? მოკლედ, ასეთი ძალიან მარტივი მანიპულაციებით ვაბამდით კავშირს გამოსაკითხ პირებთან და ძალიან ხშირ შემთხვევაში, თავადვე ვხაზავდით ბლანკზე წინასწარ განსაზღვრულ პასუხებს.

– საზოგადოებაში ყოველთვის არის დიდი გულისყური, სად არიან „ენდიაის“ მიერ გამოკითხული ის „მითიური ადამიანები“ და ისინი ნამდვილად არსებობენ თუ არა? შეგიძლიათ, გვითხრათ: პირადად თქვენ სად აწარმოეთ გამოკითხვა?

– კი, არსებობენ, თუმცა, მანდ სხვა რამეშია საქმე და ახლავე აგიხსნით: ტრენინგების მერე, ჩვენ ვანის რაიონში წაგვიყვანეს გამოკითხვის ჩასატარებლად, თუმცა, არა ცენტრში ან სადმე ხალხმრავალ ადგილას, არამედ სადღაც ძალიან მოშორებით მდებარე მაღალმთიან სოფლებში. ჩვენი ჯგუფი ოთხ სოფელში ვაწარმოებდით დროდადრო „გამოკითხვას“ და იმდენად მიუდგომელი ადგილები იყო, რომ მახსოვს, ჯიპის ტიპის ტაქსი დაგვიქირავეს, რადგან იქ ჩვეულებრივი მანქანით ასვლა, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო. ადგილზე ძალიან ღარიბი მოსახლეობა დაგვხვდა, ძირითადად, მოხუცები, რომლებსაც ასე ვთქვათ, აზრი არ მოეკითხებათ, ისეთ ასაკში იყვნენ – არ იცოდნენ, ვინ იყო პარლამენტის თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრი და ა.შ. შესაბამისად, ბლანკებზე პასუხებს თავად ვხაზავდით და რაც ძალიან მნიშვნელოვანია – ბლანკზე ვუთითებდით რესპონდენტის სახელსა და გვარს და მისი პირადობის ნომერს, რაც ფარული გამოკითხვის დროს კატეგორიულად დაუშვებელია! ასეთი შემთხვევაც მახსოვს: ერთ-ერთი მოხუცი რესპონდენტი ქალბატონის შვილმა პირადობა არ მოგვცა და სახლიდანაც გამოგვყარა – დედაჩემის პირადობა რაში გჭირდებათ, თუ გამოკითხვა ფარულიაო? ის კაცი რუსეთიდან იყო ჩამოსული, როგორც ჩანს, ერკვეოდა ასეთ რაღაცებში და ამიტომ გამოგვყარა და მართალიც იყო.

ასეთი შემთხვევაც მახსოვს, ერთ მოხუც ადამიანთან მივედით და ჩაწოლილი დაგვხვდა, მეზობელი უვლიდა. რაღაცებს რომ ვეკითხებოდი, არც ესმოდა წესიერად არაფერი. დავურეკე მერე კურატორს – როგორ გამოვკითხო ეს ადამიანი, გონზე არ არის, საერთოდ ვერ ერკვევა ამ საკითხებში- მეთქი და კურატორმა მიპასუხა – საუბარი ხომ შეუძლია? ჰოდა, დაადასტურე, რომ მანდ იყავი, ჩაიწერე სახელი და გვარი და პასუხი თავადვე მონიშნე ბლანკზეო... სხვათა შორის, ბლანკზე „ქართული ოცნება“ სულ ბოლოში იყო მითითებული, არადა, „ნაციონალური მოძრაობის“ ყველაზე ძლიერი კონკურენტი სწორედ ის იყო და ჩამონათვალში, მინიმუმ, მეორე ადგილზე მაინც უნდა ყოფილიყო ჩაწერილი.

პოლიტიკოსების შემთხვევაშიც იმავენაირად იყო ბლანკი შედგენილი – სათავეში გიგა ბოკერია, დავით ბაქრაძე და სხვები ეწერა და სულ ბოლოში, ძალიან წვრილი ასოებით – ბიძინა ივანიშვილი. ხომ გახსოვთ, ვითომ რამხელა რეიტინგი ჰქონდათ მაშინ „ნაციონალურ მოძრაობას“ და სხვადასხვა პოლიტიკოსებს? სწორედ ჩვენი ამგვარი „გამოკითხვებით“ დაიდო ის წარმოუდგენელი, არასწორი რეიტინგი.

– ხალხის გამოსაკითხად ცენტრალურ უბნებში არ დადიოდით?

– არა, ცენტრალურ უბნებში გასვლა არ შეგვეძლო, მხოლოდ ასეთ მიყრუებულ ადგილებში უნდა გამოგვეკითხა მოსახლეობა. მნიშვნელოვანია კიდევ ის, რომ წინასწარ გვირიგებდნენ სიებს, ვისთან უნდა მივსულიყავით – სიებში ეწერა ინტერვიუერის სახელი, გვარი, რომელ ქუჩაზე, რომელ ნომერში მცხოვრებ პირთან უნდა მივსულიყავით, ანუ არანაირი შერჩევითობის პრინციპი არ არსებობდა. სხვათა შორის, ჩვენი მეორე დატრენინგებული ჯგუფი სამეგრელოს ასევე ძალიან მიყრუებულ სოფლებში გაგზავნეს, ჯგუფის ერთ-ერთი წევრი მიყვებოდა მერე – სოფელში ორი კაცი ცხოვრობდაო და იმ ორი კაცის გამოსაკითხად ვიყავით ჩასულები ამხელა გზაზეო...

– ქუთაისიდან დაჰყავდით ასეთ მიყრუებულ სოფლებში თუ სადმე ახლომახლო დაგაბინავეს?

– რაიონში, სასტუმროში დაგვაბინავეს, მაგრამ გამოკითხვაზე იქვე კი არა, სადღაც შორს დაგვატარებდნენ. როგორც მახსოვს, ის სოფლები, სადაც მე ვიყავი, ვანიდან 20-25 კილომეტრის მოშორებით მდებარეობდა და ადგილობრივი მოსახლეობა დიდად არც იყო გარკვეული პოლიტიკურ პროცესებში – მიწაზე შრომობდნენ, მცირე მეურნეობები ჰქონდათ და საერთოდ არ ეცალათ პოლიტიკისთვის. ხალხი რომ სანთლით ეძებს ხოლმე „ენდიაის“ მიერ გამოკითხულ ადამიანებს – აი, სწორედ ამიტომ ვერ პოულობენ მათ, ისეთ მიყრუებულ ადგილებში ცხოვრობენ.

ერთ-ერთი გოგონა, რომელიც მაშინ ჩვენთან ერთად დადიოდა ტრენინგებზე და შემდეგ სამეგრელოში გაუშვეს, მეუბნებოდა – ისეთ ოჯახში მიგვიყვანეს, ქართული რომ არ იცოდნენ და მხოლოდ მეგრულად საუბრობდნენო. ვერაფერი ვერ გავაგებინეთ და ვერც თვითონ ვერ გაგვაგებინეს, ამიტომ უბრალოდ მათი სახელი და გვარი ჩავიწერეთ და ბლანკებიც თავად შევავსეთო. სხვათა შორის, ეს გოგონა დღეს „რუსთავი 2“-ში მუშაობს, ჟურნალისტია.

– გასაგებია... ანაზღაურება რამდენი გქონდათ?

– ერთი კვლევის ფარგლებში თითოეულს 400 ლარი მოგვცეს და ეს კვლევა, დაახლოებით, თვენახევარი გაგრძელდა. მთელი ეს დრო დროდადრო, კვირაში ერთხელ ჩავდიოდით იმ ოთხ სოფელში და ასეთ „გამოკითხვებს“ ვაწარმოებდით. სხვათა შორის, 2016 წლის არჩევნების წინა დროსაც დამირეკეს „ენდიაიდან“, თან ხელფასი 1000 ლარამდე შემომთავაზეს, მაგრამ უარი ვუთხარი. როგორც ჩანს, თავიანთი ძველი, გამოცდილი კადრები სჭირდებოდათ, რომლებიც უკვე დატრენინგებული ჰყავდათ და რომელსაც მეტნაკლებად ენდობოდნენ.

– ქუთაისში რომ ტრენინგები ტარდებოდა, დაახლოებით, რამდენი ადამიანი იყავით მაშინ?

– სადღაც 30 ადამიანი და ხაზი მინდა გავუსვა – ყველანი ძალიან პატარები გახლდით. მე მაშინ 18 წლის ვიყავი და დაახლოებით ამ ასაკის იყვნენ სხვებიც. სავარაუდოდ, არასრულწლოვნებიც იქნებოდნენ, რადგან ერთ-ერთი ამბობდა – წელს აბიტურიენტი ვარო. როცა პირველკურსელი ხარ, ისეთი პერიოდია, მეტი ქმედითობა გინდა, ასე ვთქვათ, ხალხში გასვლა მოგწონს, სიახლეები გიზიდავს და თან თუ ამაში ფულსაც გადაგიხდიან და ჩემს შემთხვევაში, 18 წლის გოგოს – 400 ლარს, მეტი რაღა უნდა ახალგაზრდა ადამიანს? მეც ამ მიზეზით ვიყავი მაშინ იქ, თორემ პოლიტიკური შეხედულებებით მათ მხარეს ვიყავი და ამიტომ ვმუშაობდი- მეთქი, ამას ვერ ვიტყვი. მეორედ რომ შემომთავაზეს, რა თქმა უნდა, აღარ წავედი, რადგან იქ ისეთი რაღაცები ვნახე, ისეთი „შეკერილი“ და მიკერძოებული იყო მთლიანად გამოკითხვის პროცესი, ისეთი„ნაცები“ იყვნენ „ენდიაის“ წარმომადგენლები, რომ ეს კვლევა კი არა, ჩვეულებრივად „ნაციონალური მოძრაობის“ ფარული პროპაგანდა იყო. შენ რაც გინდა, იმას რომ მოხაზავ ბლანკზე და ინტერვიუერის სახელს, გვარს და პირადობას ჩაწერ – ეს ფარული და მიუკერძოებელი კვლევა აღარ არის.

– ისე, საყურადღებოა: ტრენინგებზე თუ მიდიოდა აშკარა პოლიტიკური საუბრები? მწვრთნელები თუ გამოხატავდნენ საკუთარ პოლიტიკურ შეხედულებებს თქვენთან?

– კი, რა თქმა უნდა! ტრენინგებზე ჩვეულებრივად „ნაციონალური მოძრაობის“ ქება-დიდება მიდიოდა. ერთი უცხოელი „მწვრთნელი“ ახალგაზრდა კაციც გვყავდა, ინგლისურ ენაზე გვიტარებდა ტრენინგებს და ისიც კი „ნაციონალურ მოძრაობაზე“ საუბრობდა აღმატებულ კონტექსტში – როგორ დააახლოვა სააკაშვილმა საქართველო ევროპასთან, რომ NATO-ს კარი ღიაა და მოკლედ, სულ ამ კონტექსტში „გვიბურღავდა“ ტვინს, თუ როგორი მაგარია „ნაციონალური მოძრაობა“. „ქართულ ოცნებაზე“ კი იძახდა – ეს პრორუსული ძალაა და ჩვენს პატრიოტულ გრძნობებზე თამაშობდა – არ უნდა დავუშვათ ხელისუფლებაში პრორუსული ძალის მოსვლაო...

ერთი სიტყვით, „ენდიაის“ კვლევები თავიდან ბოლომდე ყალბია, ეს კეთდება წინასწარ განსაზღვრული ინტერვიუერების სიით და არა ე.წ. შერჩევითი ფარული გამოკითხვით; კითხვის ფორმულირებაც საშინლად მიკერძოებულია, ინტერვიუერთან პოლიტიკური კეთილი განწყობა „ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ უნდა დაადასტურო...

ნინო ლაბარტყავა

ბრალს ვდებთ თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურს!

SOS! დიდი დიღმის (ფარნავაზ მეფის გამზირის) ერთადერთი, 5 ჰექტარი ფართობის მქონე პარკის ნაწილ-ნაწილ გაყიდვა-გასხვისებაში, გიგანტური კორპუსების მშენებლობის ნებართვის გაცემაში, მოსახლეობის ინტერესების იგნორირებასა და სამშენებლო კომპანიის მესვეურთა წახალისებაში.

საქართველოს პრეზიდენტს სალომე ზურაბიშვილს,
საქართველოს პრემიერ-მინისტრს გიორგი გახარიას,
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს არჩილ თალაკვაძეს,
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს გიორგი ტყემალაძეს,
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და თავისუფალ მედიას.

ალნიშნული დაძაბული ვითარებიდან **გამოსავალს გვთავაზობენ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსები და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატები, რომ აუცილებელია გიგანტური საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობის შეჩერება და მის ნაცვლად ამოღებული ქვაბულის სივრცეში ახლებური საცურაო აუზისა და მრავალპროფილიანი სასპორტო ობიექტის მშენებლობათა დაწყება.**

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ პრობლემისადმი ჩვენს მიდგომას საფუძვლად უდევს ქვეყნისა და დედაქალაქის მომავლისათვის, გარემოს დაცვა-გაჯანსაღებისა და მოსახლეობის კეთილდღეობისთვის ზრუნვა. ვფიქრობთ, თქვენი რეაქცია შესაბამისად იქნება ადეკვატური, ეფექტური და შედეგზე ორიენტირებული.

ახლა უფრო დაწვრილებით: გადავარჩინოთ დიდი დიღმის ერთადერთი პარკი! დიდი დიღომი შველას ითხოვს! ასეთი სათაურით ქალაქ თბილისის მერს მრავალგზის, ხოლო საქართველოს პრემიერს, გენპროკურორს და ქალაქის მერს 2019 წლის 4 ოქტომბერს ოფიციალურად წარედგინა 25 პიროვნების მიერ ხელმოწერილი ღია წერილი, რომელიც ამავე დროს თავისუფალი მედიის საშუალებით გავრცელდა.

კოლექტიური წერილის ავტორთა მოთხოვნა იყო და არის, დიდი დიღმის (ფარნავაზ მეფის გამზირის) ერთადერთი, 5 ჰექტარი ფართობის მქონე პარკის და მისი შემადგენელი კალათბურთის და ფეხბურთის მოედნების ნაწილ-ნაწილ გაყიდვა-გასხვისებისა და გიგანტური კორპუსების აშენების შემდეგ დარჩენილ 1,8 ჰექტარ ბაღნარში (აქედან ე. წ. მულტიფუნქციურ სპორტულ სივრცეს უჭირავს 600 კვ. მეტრი) 2019 წლის 1 ოქტომბერს დაწყებული ახალი გიგანტური საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობის შეწყვეტა და დაზარალებული მოსახლეობისთვის მისაღები ალტერნატიული პროექტის განხორციელება.

ვამბობთ და ვწერთ: „დიდი დიღომი“, „ფარნავაზ მეფის გამზირი“, „ერთადერთი პარკი“, თორემ პრობლემა უფრო მასშტაბურია და მრავალმხრივი — მოქალაქეთა უფლებები აშკარად ირღვევა არა მხოლოდ დიდი დიღმის პარკის გარშემო, არამედ დედაქალაქის სხვა უბნებსა და საქართველოს სხვა ქალაქების რეკრეაციულ ზონებში — ბაღები, პარკები, სკვერები, ხეივნები — გიგანტური კორპუსების მიჯრით, საშიშ და ქაოსურ მშენებლობათა გამო.

კოლექტიურ წერილს პირველი გამოეხმაურა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, 2019 წლის 7 ოქტომბერს თბილისის მერიას მიმართა: „გთხოვთ, განიხილოთ კოლექტიურ წერილში დასმული საკითხები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად და პასუხი აცნობოთ განმცხადებლებს“ (GOV 71900039405).

სურათზე წარმოდგენილია დიდი დიღომი — ფარნავაზ მეფის გამზირის პარკის გადარჩენილი ნაწილი, ორი მოედანი და ქართული ანბანის სკვერი (გადაღების დრო: 01.10.2019). ისრით ნაჩვენებია ადგილი, სადაც უნდა აღმართონ ახალი კორპუსი, უფრო დიდი და უფრო მაღალი, ვიდრე ამ სურათის მარჯვენა და მარცხენა მხარესაა გამოსახული.

მეორე ადრესატმა — გენპროკურატურამ, კოლექტიური წერილი 2019 წლის 21 ოქტომბერს გადაუგზავნა ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურას, ამ უკანასკნელმა კი „შემდგომი რეაგირების მიზნით“, ამავე რაიონის პოლიციის მეოთხე განყოფილებას, რომელიც საგანგაშო წერილის ერთ-ერთ ავტორთან გასაუბრებით დაკმაყოფილდა...

რაც შეეხება მთავარ ადრესატს — მერიის კანცელარიას, კოლექტიური წერილების ავტორებისთვის ერთი თვის ვადაში (4.11.2019) უნდა ეპასუხა, მაგრამ დღემდე დუმს. მერიის ცხელი ხაზი კი ერთსა და იმავეს გვეუბნება: „გადაეცა არქიტექტურის სამსახურს“, „რამდენიმე სამსახურს აქვს გადაცემული“, „განიხილება“, „გადაწყვეტილება მიღებული არ არის“ და. ა. შ.

ტელეეთერიდან კი გვესმის განცხადებები, რომ თბილისის ხვალინდელი დღე იქნება უკეთესი, საზოგადოებრივი ტრანსპორტი — მოწესრიგებული და კომფორტული, ქალაქი — გამწვანებული, საცობებისგან განტვირთული, ახალი სივრცეები ათვისებული, სამშენებლო კომპანიების მიერ დაჩაგრული ადამიანები დაკმაყოფილებული...

ჩვენი თხოვნა, როგორც ითქვა, მრავალგზის წარედგინა მერიას. იყო სამი მშვიდობიანი აქცია, ორი მიმართვა-პუბლიკაცია, მრავალი სატელევიზიო სიუჟეტი, ღია წერილი, თხოვნა სოციალურ ქსელში, მაგრამ პასუხი, ჩვენი კოლექტიური წერილისა და მთავრობის ადმინისტრაციის დავალებისა, არ ჩანს...

დიდი დიღმის მოსახლეობის მოთხოვნა, გიგანტური საცხოვრებელი კორუსის მშენებლობის შეწყვეტასთან დაკავშირებით, სამართლიანი და ლეგიტიმურია მით უფრო, რომ აღნიშნულ ტერიტორიას, 2019 წელს დამტკიცებული თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, მინიჭებული აქვს რეკრეაციული ზონა 1-ის სტატუსი. ასეთი სტატუსის მქონე ტერიტორიაზე კი, კანონის მიხედვით იკრძალება ყოველგვარი შენობა-ნაგებობის აშენება, გარდა განათების, სარწყავი სისტემის, სარეკლამო ბილბორდის და დეკორატიული გაფორმების ობიექტისა.

დიდი დიღმის მოსახლეობის გულისტკივილს იზიარებენ:

1. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეროვნულ პრობლემათა შემსწავლელი კომისია — თავმჯდომარე აკადემიკოსი **ელიზბარ ჯაველიძე** ტელ: 577-501-204;

2-3. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატები: საქართველოს მშენებელთა ლიგის თავმჯდომარე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი **ანზორ საკანდელიძე** (591-203-239) და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, უკრაინის საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი **ნუგზარ შავთვალაძე** (571-983-878), რომლებმაც აღნიშნეს, რომ დიდ დიღომში მაღლივი კორპუსების მშენებლობა ყოვლად დაუშვებელია, რადგან დიდი დიღმიდან მქროლავი ქარებით ხდება მტკვრის მარჯვენა მხარეზე გაშენებული თბილისის ბუნებრივი ვენტილაცია, ამიტომ გიგანტური კორპუსი საგრძნობლად ხელს შეუშლის ამ ბუნებრივ ვენტილაციას და ჰაერი კიდევ უფრო დაბინძურდება.

გარდა ამისა, დარღვულია, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრის **თამაზ ჭელიძის** მიერ მრავალგზის გახმაურებული აუცილებელი მოთხოვნა, რომ მაღლივი კორპუსების გრუნტების საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა უნდა მოხდეს 30 მეტრის სიღრმეზე, რის გამოც მშენებლობის პროექტი ექსპერტიზაზე აუცილებლად უნდა გადაეცეს გეოფიზიკის ინსტიტუტს და ამ ინსტიტუტის მიერ საექსპერტო დასკვნის გაცემამდე უნდა შეჩერდეს მშენებლობა.

აღნიშნულ ვითარებაში დიდი დიღმის ერთადერთი პარკის გარშემო მოსახლეობის სამართლიანი პროტესტის გადაწყვეტის ერთადერთი გამოსავალია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეროვნულ პრობლემათა შემსწავლელი კომისიის წინადადება, რომ სამშენებლო კომპანიას, თუ ეს აუცილებელია, გამოეყოს სანაცვლო ნაკვეთი, ხოლო ამოღებული ქვაბულის სივრცეში მოეწყოს დიდი დიღმის მოსახლეობისთვის სასურველი საცურაო აუზისა და მრავალფუნქციური სასპორტო დანიშნულების ობიექტი.

ამის პარალელურად, იმედია, დედაქალაქის მოამაგეთა კეთილი ნებით გაგრძელდება და, ბოლოს და ბოლოს, დამთავრდება 35 წლის განმავლობაში გაჭიანურებული დიდი დიღმის (ფარნავაზ მეფის გამზირის) ერთადერთი პარკის დარჩენილი ნაწილის (1,8 ჰექტარი) კეთილმოწყობა; აგრეთვე ამავე გამზირის ცენტრში არსებული ავტოსაწარმოს და გამზირის დასაწყისში მდებარე ქართული ანბანის სკვერის დამთრგუნველი ოთხსართულიანი ბეტონის კარკასების დაშლა-გატანის სამუშაოები.

ველით თქვენს სამართლიან გადაწყვეტილებას!

პატივისცემით,
დიდი დიღმის პრობლემათა
შემსწავლელი ჯგუფი:
ნინო ზურაბიშვილი,
იაკობ თოდუა, მერი ისაევი,
ვალერი ლობჟანიძე,
გვანჯი მანია, დავით მორგოშია,
ავთანდილ ჩხიკვაძე.

წყნეთის სამთავრობო აგარაკებზე გამოცხადებული აუქციონი ჩაიშალა

წყნეთის სამთავრობო აგარაკებს მყიდველი არ გამოუჩნდა. 23 დეკემბერს გამოცხადებული აუქციონი გუშინ დასრულდა. სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში ჯერ არ ამბობენ, როდის და რა პირობებით გამოცხადდება ახალი აუქციონი.

მთავრობა პროექტ „100 საინვესტიციო შეთავაზება ბიზნესის“ ფარგლებში წყნეთის სამთავრობო აგარაკებს ყიდდა. დაბა წყნეთში მდებარე 89 988 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებსა და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებზე აუქციონი 23 დეკემბერს გამოცხადდა. წყნეთის სამთავრობო აგარაკების საწყისი ღირებულება დაახლოებით 55 მლნ ლარი იყო.

ხელშეკრულებით ინვესტორი ვალდებული იყო, ამ ტერიტორიაზე სასტუმრო აეშენებინა. ხელშეკრულებითვე განისაზღვრება ინვესტიციის მინიმალური ოდენობაც — 20 მილიონი ლარი.

თემურ მიქელაძე:

ვერანაირი ტყვია ბავშვს ისეთ პრობლემას ვერ შეუქმნის, როგორსაც ეკრანდამოკიდებულება!

თანამედროვე მსოფლიოში განსაკუთრებული პრობლემაა ბავშვების ეკრანდამოკიდებულება. რა იწვევს მათ ელექტრონულ გამღიზიანებლებზე დამოკიდებულებას, რამდენად სახიფათოა და როგორ უნდა მიაქციოს მშობელმა ყურადღება, ამ თემაზე ცნობილმა ექიმმა-პედიატრმა თემურ მიქელაძემ ამას წინათ რადიო „იმედის“ გადაცემაში „ჯანმრთელი დილა“ ისაუბრა.

* * *

– ბატონო თემურ, ეს პრობლემაა თუ დაავადება?

– ალბათ, ორივე ერთად. ბოლო 2-3 წელიწადია, გადავედით სერიოზულ ეკრანდამოკიდებულებაზე. ეს არის პრობლემა თუ დაავადება – მათ შორის ზღვრის გავლება ძალიან ძნელია. ჯერ კიდევ 30 წლის წინათ, ამერიკის პედიატრთა აკადემია მშობლებს, პედიატრებს აფრთხილებდა, რომ ბავშვები და, განსაკუთრებით 3 წლამდე ბავშვები, არ დაკავდნენ ელექტრონული გამღიზიანებლებით. 30 წლის წინ მხოლოდ ტელევიზორი იყო. მაშინ ვერც წარმოიდგენდნენ, რომ ახლა ვიქნებოდით გაჯეტების, სმარტფონების, სხვადასხვა ელექტრონული წიგნის ხანაში და ასე შემდეგ. 2011 წელს, როცა პირველად ამერიკის შეერთებული შტატების ბაზარზე გამოჩნდა სმარტფონები და გაჯეტები, აღმოჩნდა, რომ ბავშვების, დაახლოებით, 10-15 პროცენტი იყო დაკავებული ამ ელექტრონული გამღიზიანებლით.

ეს ხდებოდა 2011 წელს. 3 წლის შემდეგ ჩატარდა იგივე კვლევა და აღმოჩნდა, რომ 4-5-ჯერ გაიზარდა მათი რაოდენობა, ანუ, დაახლოებით, 75-80 პროცენტამდე. ეს ეხება უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებს. პრობლემაა ისიც, რომ 3-4 თვის ბავშვებს უკვე აქვთ კომუნიკაცია ამ ელექტრონულ ნივთებთან.

მე 90-იან წლებში დავიწყე ექიმობა. მშობლების ძირითადი ჩივილია ახლაც და მაშინაც, რომ ბავშვი საკვებს არ იღებს. 90-იანებში ძალიან ბევრი სერიალი იყო. ამ სერიალებში გადიოდა სხვადასხვა კლიპი და მშობლები, ბებიები სწორედ ამ სერიალებს ელოდებოდნენ, რომ კლიპები ეყურებინათ ბავშვებისთვის და ამ ფორმით ეჭმიათ. ამ შემთხვევაში ჩვენ, კონცეპტუალური აზროვნების ნაცვლად, რომელზეც არის განათლების სამინისტრო, სასკოლო თუ სკოლამდელი აღზრდა, უმაღლესი სასწავლებლები ძირითადად ორიენტირებულები, ვუყალიბებდით ე.წ. კლიპურ აზროვნებას.

კლიპური აზროვნება ნიშნავს, რომ ბავშვი ხდება მასზე დამოკიდებული. მიუხედავად საკვების გემოვნური თვისებებისა, ყველაფერს ერთნაირად იღებს. მშობელსაც უხარია, ჰგონია, რომ აბსოლუტურად უგემოვნო საკვები შეიძლება ძალით აჭამო ბავშვს. ეს არის მშობლის ძალიან დიდი შეცდომა.

ჩვენ ვართ ისეთ სამყაროში, სადაც ყველაფერი ვითარდება. რა თქმა უნდა, არ უნდა ჩავკეტოთ ბავშვები, არც გამოგვივა, მაგრამ თუ ჩვენ ბავშვს ვაძლევთ ელექტრონულ საშუალებაზე წვდომას, მაშინ ნება იბოძეთ და პირველ რიგში, შეურჩიეთ მაღალი ხარისხის ელექტრონული გამღიზიანებლები იმიტომ, რომ არ გავაღიზიანოთ თვალი, არ განავითაროს სიმსივნური დაავადებები და ზოგიერთ შემთხვევებში, გამოიწვიოს მხედველობის მოშლა, თვალის გადაღლა, თავის ტკივილი ქრონიკული გადაღლილობის სიმპტომები და ასე შემდეგ.

ეს თუ არ გინდათ, მაშინ შეუძინეთ ელექტრონული მელანის შემცველი, საკმაოდ ძვირადღირებული ტექნიკა, წიგნები. მას გამოსხივება არ აქვს და საკმაოდ ძვირადღირებულია. ვისაც არ აქვს ამის საშუალება, დღის განმავლობაში, ყველას ვურჩევ, რომ 15-დან 20 წუთამდე შეზღუდონ ელექტრონული ტექნიკის გამოყენება. როგორ? – პირველ რიგში, ბავშვი აუცილებლად დაკავებული უნდა იყოს სპორტით, მუსიკით. უნდა შეიყვანოთ ჭადრაკზე, სხვადასხვა აქტივობაზე. მაქსიმალურად უნდა დატვირთონ მშობლებმა ბავშვები. თუ არ იქნება ეს აქტივობები, ვერანაირად ვერ მოვაშორებთ ეკრანს.

ელექტრონული გამღიზიანებლების ჩართვის შედეგად დიდი რაოდენობით გამომუშავდება ე.წ. „ბედნიერების ჰორმონი“ – დოფამინი. დოფამინის გამომუშავების შემდეგ, ეს ბავშვები არიან ეიფორიაში, ჩერდებიან, წყნარდებიან, ადვილად მართავს მშობელი და მას ჰგონია, რომ ამით რაღაცას მიაღწია – ეს არის დროებითი. შემდეგ მოდის აგზნება, ვეღარ ჭამენ საჭმელს, აქვთ თავის ტკივილის, თვალებისა და ძილის პრობლემები. განსაკუთრებით, ღამის განმავლობაში, როცა კითხულობენ ელექტრონული გამღიზიანებლებიდან.

ბავშვი ვერ იძინებს 2- 3 საათამდე, შესაბამისად, დილით გამოუძინებელია. სკოლაში აკადემიური მოსწრების პრობლემა ეწყება, გაკვეთილებს ვეღარ ითვისებს. ბოლო პერიოდში როცა მოგვმართავენ, ბავშვები ამბობენ, რომ მათ სტკივათ თავი, მუცელი, ხელი, გული ერევათ, სუნთქვა უჭირთ და ასე შემდეგ. მათ მეტი სიმულაცია არ შეუძლიათ. მშობელიც ამას ყვება, ჰგონია, რომ ამ ბავშვს მართლა ეს პრობლემა აქვს, ტოვებს სახლში. სახლში დატოვებული ბავშვი ისევ მიჯაჭვულია ტექნიკას, და ეს არის სერიოზული პრობლემა.

– რამდენი ხნით ადრე უნდა მოვწყვიტოთ ბავშვი ეკრანს დაძინებამდე?

– დაძინებამდე ერთი ან ორი საათით ადრე უნდა მოვწყვიტოთ ეკრანს ბავშვი. ოღონდ დღის განმავლობაში, 40 წუთზე მეტი არ უნდა დაკავდეს. მთავარი რაც არის, როდესაც ჩვენ ბავშვს ტელეფონს ვაძლევთ, მისი ინჩი არის ძალიან პატარა, 5 ან 6 მაქსიმუმ... ეს აღიზიანებს მხედველობის გამღიზიანებელს. მხედველობის გამღიზიანებლის გაღიზიანების შემდეგ იწყება მხედველობის პრობლემები. ამიტომაა მოწოდებული, რომ 15 ინჩზე ნაკლები სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის არ შეიძლება.

– თუ ბავშვს მთელი ღამით სძინავს ტელევიზორის გამოსხივების ფონზე, როგორ გადავაჩვიოთ ამას?

– ბავშვი, პირველ რიგში, დიდხანს უნდა ასეირნოთ ძილის წინ. გარდა ამისა, თუ შესაძლებელია, ნახატებით შეგიძლიათ შეუვსოთ, მუყაოს წიგნებით შეიძლება გაართოთ. თუმცა, რომ გაასეირნებთ, უფრო კარგად დაისვენებს და დაიძინებს.

– რა ასაკიდან შეიძლება, რომ ბავშებს მობილური ტელეფონები შევთავაზოთ? სკოლაში რომ მიდიან, ყველა მშობელი ნერვიულობს და, შესაბამისად, ყველას აქვს მობილური ტელეფონი. მისაღებია, რომ 6 წლის ბავშვი დადიოდეს ტელეფონით?

– რა თქმა უნდა, არ არის მისაღები და ზოგიერთ სკოლაში მე მინახავს, როცა საერთოდ ატოვებინებენ მობილურებს. საერთოდ, 5 წლამდე აკრძალულია ნებისმიერი ელექტრონული გამღიზიანებელი. განსაკუთრებით, მობილური ტელეფონები. თუ გინდათ კომუნიკაცია, შეუძინეთ იაფფასიანი ტელეფონები, რომლებსაც ღილაკები აქვს და უფრო ნაკლები გამოსხივებაც. არის მეორე საკითხი, როცა მშობელი თავადაა დაკავებული, მასწავლებელიც თავადაა დაკავებული და სანამ გაკვეთილს იწყებს, სოციალურ ქსელშია – ეს არის ზოგადი პრობლემა, რომელსაც სჭირდება მკაცრი რეგულაციები. აუცილებელია მშობლებმა, განსაკუთრებით დილის საათებში, დიდი ყურადღება დაუთმონ შვილებს.

– 12-13 წლის ბავშვი თუ ლეპტოპსაა მიჯაჭვული, ესაუბრები მას და აბსოლუტური იგნორია, პასუხს არ გცემს. 13-14 წლის უკვე არის მოზარდი. აქვს გარდატეხის პერიოდი. როდესაც 5-6 წლის ბავშვზე ვსაუბრობთ, ის უფრო ადვილი სამართავია. ამ შემთხვევაში, მოზარდების მშობლებმა რა გავაკეთოთ?

– ეს არის ეკრანდამოკიდებულების სინდრომი. ამერიკელმა ნეიროფსიქოლოგმა გამოიტანა ასეთი დასკვნა, რომელსაც ეკრანდამოკიდებული ბავშის სინდრომი დაარქვეს. უფრო რთული დიაგნოზია, ვიდრე სხვა პათოლოგიები. ვერაფერს ვერ გავაკეთებთ. ისევ, მთავარია მშობლის ჩართულობა, ორივე მშობლის ერთდროული.

არა ისე, რომ დედა ჩამოართმევს და მამა შეუსრულებს ან პირიქით. დასჯასაც აქვს თავისი ზომები. თუ ერთი მშობელი ჩაერია და მას უნდა მაქსიმალურად მოწყვიტოს ამ ეკრანს, მეორე მშობელიც, ბებიაც უნდა დაეხმაროს ამაში. ბავშვი რომ ატირდება, ბებია შემოუტანს, ოღონდ დაწყნარდესო, – ეს არის პრობლემა.

– რა ვუყო 14 წლის მოზარდს, რომელიც მთელი ღამე ტელეფონშია?

– ეს არის მეორე პრობლემა. ბავშვების 2- 3 პროცენტი 24 საათის განმავლობაში ჩართულები არიან ინტერნეტში. ამას წინათ იყო შემთხვევა, 5 წლამდე ასაკის ბავშვი სპაიდერმენის ფორმით გადმოხტა მერვე სართულიდან, საბედნიეროდ, ეს ბავშვი გადარჩა. ეს არის ტრაგედია. კონცეპტუალურ აზროვნებას წყვეტთ, კლიპურ აზროვნებას ვუვითარებთ და ბავშვს ჰგონია, რომ ისე უნდა მოიქცეს. ამიტომ, მთავარია მშობლების ჩართულობა. ბავშვები ორსულობიდან დამოკიდებულები არიან ელექტრონულ ტექნიკას, რადგან ორსული დედა მთელი დღის განმავლობაში ძალიან ბევრ დროს უთმობს ამ ტელეფონდამოკიდებულებას. იყენებენ სოციალურ ქსელებს და მათ არა აქვთ მაღალკვალიფიციურ წყაროებზე ხელმისაწვდომობა.

იქ არის უამრავი უაზრო ინფორმაცია, რომელიც პირიქით, ძაბავს მშობელს. დავუშვათ, რაღაც დიაგნოზს დავუწერ მე ბავშვს, ადგება ეს მშობელი და ამოწმებს სხვადასხვა ინტერნეტ საიტებზე. მეორე დღეს დედა არის განადგურებული. ამიტომ, ამ საიტებით დაკავებას, სჯობს ბავშვს მოვასმენინოთ გემოვნებიანი მუსიკა ორსულობის დროს, ერთი საათის განმავლობაში და მაქსიმალურად, დედა მოსწყდეს ელექტრონულ გამღიზიანებლებს. არასოდეს დიდი რაოდენობით არ მოხდეს ფოტოპოზირება ბავშვებთან ერთად, განსაკუთრებით, მათი სოციალურ ქსელში ატვირთვა. ეს არ არის მარტო ჩემი რეკომენდაცია. ზოგადად, ბავშვისთვის ყველაზე კარგი ფსიქოლოგი დედა და მამაა. თუ დედა და მამა მოიცლის, გამოყოფს დროს, მათ ეს პრობლემები მოუგვარდებათ.

– თუ მცირეწლოვანი ბავშვი არ ჭამს საჭმელს მანამ, სანამ არ ჩაურთავენ რაიმეს, როგორ უნდა გადააჩვიოს მშობელმა?

– მას მშობელმა შეუქმნა უკვე პრობლემა, რომ ჭამის დროს მიაჩვია რაღაცის ყურებას. ეს არის ე.წ. პავლოვის რეაქცია. როგორც გაუკეთეთ, ნება იბოძეთ და გადააჩვიეთ, თორემ მიიღებთ კიდევ უფრო სერიოზულ პრობლემას. თუ ერთი ან ორი კვირა არ შეჭამს, შეჭამოს მეოთხე კვირას. ამიტომ, თქვენ შეგიძლიათ, 2 წლის ბავშვს მონაწილეობა მიაღებინოთ საკვების მომზადებაში. მას როგორც უნდა, ისე გაუფორმეთ, შეუზავეთ სხვადასხვა სუნელით, თქვენ მეტი დრო გამოყავით და პრობლემა მოგვარდება.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბავშვებს შეუძლიათ ნებისმიერი უხარისხო საკვების მიღება ტელეფონდამოკიდებულების დროს, მიუხედავად გემოვნებისა. ასევე არასწორი ჯდომაა პრობლემა, კუნთები მოდუნებულია ასეთ შემთხვევაში, ხერხემალი დეფორმირდება და აქედან იწყება წელის, თავისა და ხერხემლის ტკივილი და ასე შემდეგ, იმიტომ, რომ კუნთები მოდუნებულია მთელი დღე არასწორად ჯდომის გამო. თუ აკვირდებით, ბავშვები სხვადასხვა საიტზე რომ შედიან, ერთი წუთის განმავლობაში რამდენიმე ახალ ინფორმაციაზე გადადიან.

მშობელი დაკავებულია სამსახურით, გვაქვს სხვადასხვა სოციალური პრობლემები, ბავშვები არიან აღმზრდელებთან. აღმზრდელებსაც თავისი პრობლემები აქვთ. ეს ბავშვები სხედან მთელი დღე ელექტრონულ გამღიზიანებლებთან, ჩართულია სხვადასხვა მულტფილმი და ასე შემდეგ. ეს არის კატასტროფა. გვყავს ზომბირებული ბავშვი, ამიტომ, მეტი ჩართულობაა საჭირო. ექიმთან მიყვანა ამას ვერ მოაგვარებს. ვერანაირი ტყვიის მაღალი შემცველობა ისეთ პრობლემას ვერ შექმნის, როგორც ელექტროდამოკიდებულება.

– ბავშვი არის არარეალურ სამყაროში და როგორ დავუბრუნოთ ის ამ სამყაროს, თუ არ გვემორჩილება?

– ძალიან მნიშვნელოვანია მშობლის ჩართულობა. საუკეთესო ფსიქოლოგები არიან დედა და მამა, შემდეგ ბებია და ბაბუა. ერთი საათი დედამ უნდა გამოყოს, ერთი მამამ და ასე შემდეგ. ბოლო პერიოდში, ყველა მეორე ბავშვი, ვინც შემოდის ჩემთან ვიზიტზე, ტელეფონითაა ხელში. ან გარეთ რომ გამოვდივარ, მშობლები არიან მობილურში ჩართულები და ეს ბავშვები სადღაც დარბიან. მეც მქონდა იგივე პრობლემა, მაგრამ მეტ-ნაკლებად გადავწყვიტე. ყველა ბავშვს რაღაც მომენტში სჭირდება წახალისება.

ჩვენს დროს სულ 5- 6 სათამაშო იყო, თუმცა ვერთობოდით. იქ სხვა ღირებულებები იყო, მუსიკა, ხატვა, ძერწვა და ასე შემდეგ. ახლა ერთ ოთახში ბავშვს 200- 300 სათამაშო უყრია, არ ინტერესდება ამ სათამაშოებით და მიჯაჭვულია ელექტრონულ მოწყობილობებს. გარდა ამისა, მულტფილმებში მარკეტინგული გათვლაა, იმ გმირებს ისე მიაჯაჭვოს ბავშვები, რომ წავიდნენ და იყიდონ ის სათამაშოები. ბავშვიც ყიდულობს უხარისხო სათამაშოებს, რომელშიდაც ტყვიის მაღალი მაჩვენებელია. ამიტომ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მთავარია მშობლის ჩართულობა დილით და საღამოს.

ჩემი შვილები დადიან ფიგურულ სრიალზე, მუსიკაზე, დილით ადრე ვაღვიძებ, თავად უკრავენ ფორტეპიანოზე და ასე შემდეგ. გასაგებია, რომ ეს ფინანსებთანაა დაკავშირებული, მაგრამ ის უხარისხო სათამაშოებიც ფული ღირს. ერთი ელექტრონული გამღიზიანებელი რაც ღირს, იმით თქვენ ერთი წლის განმავლობაში გადაიხდით რომელიმე წრის გადასახადს. აქ დაზოგეთ თანხა და ეს პრობლემა მოგვარდება. ყველა მეორე ბავშვი დაკავებულია მობილურით – თუ საზოგადოების, საინფორმაციოებისა და მშობლების ჩართულობა იქნება, ამით მაქსიმალურად თავიდან ავირიდებთ ამ სერიოზულ პრობლემას.

MSHOBLEBI.GE
HTTP://REPORTIORI.GE/

ქვეყნის ეკონომიკურმა სტაგნაციამ რუსეთის ხელისუფლებას რადიკალური ქმედებებისკენ უბიძგა. ვლადიმირ პუტინის მიერ დაანონსებულ საკონსტიტუციო ცვლილებებს რუსეთის მთავრობის სრული შემადგენლობის გადადგომა მოჰყვა.

პუტინი რამდენიმე მნიშვნელოვანი საკონსტიტუციო ცვლილების ინიციატივით გამოვიდა. მან დუმის და ფედერაციის საბჭოს უფლებამოსილების გაზრდა დააანონსა. დაგეგმილი ცვლილების მიხედვით, ფედერაციული საბჭო საკონსტიტუციო ორგანო ხდება. 2024 წლიდან მნიშვნელოვნად სუსტდება პრეზიდენტის ძალაუფლება. პუტინს სწორედ ამ დროს ეწურება პრეზიდენტობის ვადა, ამ პოზიციას კი კიდევ ერთხელ ვერ დაიკავებს. მისი ინიციატივით, პარლამენტს უნდა გადაეცეს პრეზიდენტის უფლებამოსილების ნაწილი, პრემიერ-მინისტრის და მინისტრთა კაბინეტის დამტკიცების საკითხში, ხოლო პრეზიდენტს არ ჰქონდეს პარლამენტის ამ გადაწყვეტილებაზე ვეტოს დადების უფლება. საკონსტიტუციო ცვლილებების საკითხზე რეფერენდუმი ჩატარდება. სხვა მნიშვნელოვან პოლიტიკურ ცვლილებებთან ერთად მინიმალური ხელფასის განსაზღვრა და პენსიის ინდექსაცია იგეგმება, რომელიც საარსებო მინიმუმზე ნაკლები არ იქნება.

რამ გამოიწვია მოსკოვის სახელისუფლებო ველზე ამგვარი რადიკალური ცვლილებები? რა გავლენას იქონიებს რუსეთში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესები საქართველოზე? „Black on White“-ს ანალიტიკოსი ირაკლი გოგავა ესაუბრება.

ირაკლი გოგავა: რუსეთთან, ვისთანაც ყველაზე დიდი პრობლემები გვაქვს, დიალოგი აუცილებელია!

— რა ფაქტორებით არის გამოწვეული რუსეთის ხელისუფლებაში დაწყებული რადიკალური ცვლილებები და რეალურად რას ისახავს მიზნად?

— ეს ცვლილებები ორი მთავარი ფაქტორით, პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორით არის გამოწვეული.

მთავრობის განახლება არის პასუხი იმ საზოგადოებრივ განწყობებზე, რომლებიც დღეს რუსეთში არსებობს. ეს განწყობები ხელისუფლების მიმართ ნეგატიურად არის შეცვლილი. რუსეთის სოციოლოგიური ცენტრის მონაცემებზე დაყრდნობით, ხელისუფლების მხარდაჭერა საგრძნობლად შემცირებულია. მაგალითისთვის: **თუ 2014 წელს პუტინის მხარდაჭერა 53% იყო, დღეს — 38%-ია. რუსეთის მოსახლეობის უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ქვეყანა სწორი მიმართულებით არ მიდის. 66% სამთავრობო ცვლილებებს ელოდება, ხოლო მოსახლეობის 45% — მასობრივ საპროტესტო გამოსვლებს. 49% თვლის, რომ რუსეთი ეკონომიკურ კრიზისშია.** მთელი ამ სურათის გათვალისწინებით, აუცილებელი იყო რუსეთის მთავრობის განახლება, რაც პოლიტიკური ტექნოლოგიის ნაწილიც შეიძლება იყოს და ხელისუფლების სასარგებლოდ მოქმედებს. ეს ტექნოლოგია ნებისმიერ ხელისუფლებას აძლევს დროს მობილიზაციისთვის და სხვა ქვეყნებშიც ფართოდ გამოიყენება.

მეორე საკითხს რაც შეეხება, **პუტინს 2024 წელს საპრეზიდენტო ვადა ეწურება. მას აღარ შეუძლია, კიდევ იყაროს კენჭი, ამიტომ ცდილობს, პოლიტიკური სპექტრი იმგვარად მოაწყოს, რომ მართვის სადავეები ხელიდან არ გაუშვას.**

ამ ცვლილებების ეკონომიკურ მიზეზებზე თუ ვისაუბრებთ, ჩანს, რომ **რუსეთის ეკონომიკა რეალურად სტაგნაციაშია. 2014 წლის უკრაინის კრიზისის შემდეგ რუსეთის ეკონომიკამ ძალიან დიდი დაცემა განიცადა, ფაქტობრივად, განახევრდა, რუბლი გაუფასურდა. მაგალითად, რუსეთის ეკონომიკის ზრდა 2019 წლის მონაცემებით, მხოლოდ 1,2 %-ს შეადგენს. შეგახსენებთ, რომ საქართველოში ეკონომიკური ზრდა 5 % -ზე მეტია. რუსეთში ინფლაცია 4% იყო, ანუ ინფალაცია უფრო მეტია, ვიდრე ეკონომიკური ზრდა,** ეს კი ნებისმიერი ქვეყნისთვის ცუდი მაჩვენებელია. რუსეთს სერიოზული ეკონომიკური პრობლემები სანქციებმა შეუქმნა. მათ აღარ აქვთ წვდომა დასავლურ ტექნოლოგიებზე, პირველ რიგში, სამრეწველო, ნავთობმოპოვებით ტექნოლოგიებზე. ასევე, არა აქვთ წვდომა დასავლურ კრედიტებზე, რომლის გარეშეც ეკონომიკის სწრაფი ზრდა რთულია. ამიტომ, თუ უნდათ, ნორმალური განვითარების ტემპს დაუბრუნდნენ, ეკონომიკაში სხვადასხვა ღონისძიებების გატარება მოუწევთ. **ასევე, მთავარი, რაც რუსეთში ხდება, არის ცხოვრების დონის დაქვეითება, რასაც მოსახლეობა მწვავედ განიცდის. ჩავარდნად შეიძლება განვიხილოთ საპენსიო რეფორმა, რომელიც შარშან ჩატარდა, გაზარდეს საპენსიო ასაკი, რასაც ხალხი ნეგატიურად შეხვდა. მოსახლეობა ირკუტსკის წყალდიდობისას და ტაიგაში ხანძრის დროს მთავრობის ქმედებებს არაეფექტურად აფასებს. თუმცა, პოზიტიურად თვლის სირიაში მიღწეულ წარმატებას, უკრაინასთან ცხელი ომის ფაზის დასრულებას, ყირიმის ხიდის სარკინიგზო ნაწილის გახსნას.** საბოლოო ჯამში, საზოგადოებაში იყო ცვლილებების დაკვეთა და პუტინმა ეს ცვლილებები განახორციელა.

ახლა რაც შეეხება იმას, რას აპირებს პუტინი 2024 წელს? **პუტინის მიერ შემოთავაზებული საკონსტიტუციო ცვლილებები ემსახურება იმგვარი მოდელის შექმნას, რომელიც მას მართვის სადავეებს შეუნარჩუნებს, მიუხედავად იმისა, იქნება თუ არა ის პრეზიდენტი. მას აქვს სამი ვარიანტი, როგორ იმოქმედოს 2024 წლის შემდეგ. ერთი გახლავთ ისევ ძველი ნაცადი ხერხი, როდესაც მედვედევ-პუტინის როქირება განხორციელდა, ამიტომ მედვედევი გადაინახა მომავლისთვის, ჩამოაშორა ისეთ პოზიციას, სადაც ის რეიტინგს აუცილებლად დაკარგავდა. 4 წლის შემდეგ კი მედვედევის დროს წარუმატებელი ეკონომიკური სიტუაცია აღარავის ემახსოვრება. მედვედევი დანიშნა უშიშროების საბჭოში თავის მოადგილედ, გარდა ამისა, ის არის მმართველი პარტიის თავმჯდომარე.**

მეორე ვარიანტია, ე.წ. სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ თავად პრეზიდენტი დარჩეს. სახელმწიფო საბჭო არის საკმაოდ ძლიერი ორგანო, რომელიც აერთიანებს ფედერაციის საბჭოს, წევრებს, დუმის ფრაქციების ხელმძღვანელებს, ასევე ადგილობრივ გუბერნატორებს, რეგიონების მმართველებს, დიდი ქალაქების მერებს.

მესამე ვარიანტია, პუტინი გახდეს მმართველი პარტიის თავმჯდომარე და ამიტომაც აძლიერებს მმართველი პარტიის საპარლამენტო ფრაქციის როლს, რომელიც უკვე ახალი ცვლილებების შემდეგ რუსეთის მთავრობას არა შეეთანხმების, როგორც აქამდე იყო, არამედ დაამტკიცებს.

— აღნიშნული პოლიტიკური ცვლილებები რეალურ შედეგს გამოიღებს თავად სახელმწიფოსთვის, თუ მაინც კოსმეტიკურ ცვლილებად დარჩება?

— პუტინი ამ სამ ვარიანტს ამზადებს თავისთვის, 2024 წლისთვის, რომელიც უფრო ხელსაყრელი იქნება მისთვის, იმ ვარიანტს აირჩევს, თუმცა, ალბათ ჯობია, რუსეთმა ფოკუსირება ეკონომიკაზე მოხდინოს. ამის რამდენიმე ვარიანტი არსებობს. **პირველი, დასავლეთს მოელაპარაკოს სანქციების მოხსნაზე, რათა დასავლურ ინვესტიციებსა და ტექნოლოგიებზე რამენაირად წვდომა ჰქონდეს, რაც ეკონომიკას უდავოდ წაადგება. მეორე ვარიანტია რესურსების შიდა მობილიზაცია. სხვადასხვა კვლევით, რუსი ოლიგარქების მიერ ტრილიონზე მეტია ოფშორებში**

აფხაზების განცხადება საქართველოსთან პირდაპირი დიალოგის შესახებ რუსეთის ნამუშევარია

გატანილი. ეს საკმაოდ დიდი თანხაა, რომელიც ნებისმიერ ეკონომიკას სერიოზულად წინ წასწევდა. **მესამე ვარიანტი, რომელსაც რუსეთი ჯერჯერობით იყენებს კიდეც, არის ჩინეთთან ურთიერთობა. მათ ჩინეთისგან მიიღეს 2 მლრდ დოლარი კრედიტი და თანამშრომლობენ ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში.** შევხედავთ, როგორ განვითარდება მოვლენები, თუმცა, რუსეთის შიდა რესურსები შთამბეჭდავია. რუს ოლიგარქებს თავიანთი მოგებები და ფული საზღვარგარეთ გააქვთ და იქ აბანდებენ, რაც ყველა ქვეყნისთვის პრობლემაა. თუ დეოფშორიზაცია მოხდა და პუტინმა მდიდრები დაარწმუნა, რომ ფული რუსეთში დააბანდონ, ამით წინ წაიწევენ.

— ჩვენს ქვეყანაზე როგორ აისახება რუსეთში მიმდინარე პროცესები? საქართველოში საზოგადოების ნაწილი თვლის, რომ, თუ რუსეთის ეკონომიკა ჩამოიშლება, საქართველოს მხოლოდ მაშინ ეშველება...

— არა, ეს მცდარი შეხედულებაა, ხალხი ოკუპაციის გამო გაღიზიანებულია რუსეთზე, და სამართლიანადაც, მაგრამ, რაც შეეხება ეკონომიკას, პირიქით, რუსეთში ცუდი ეკონომიკური სიტუაცია ჩვენც არ გვაწყობს. **ისტორია და გამოცდილება გვაჩვენებს, რომ რუსეთის ნებისმიერი ეკონომიკური კრიზისი საქართველოს ეკონომიკაზე აუცილებლად ნეგატიურად აისახება. ამის განმაპირობებელი ფაქტორი არის ის ასიათასობით ქართველი, რომელიც რუსეთში ცხოვრობს და მუშაობს. ისინი ფულის ნაწილს საქართველოში ხარჯავენ და ოჯახებს, ნათესავებს ეხმარებიან, უძრავ ქონებას ყიდულობენ და ა. შ.** ამიტომ, თუ ვინმეს უხარია რუსეთის წარუმატებლობა ეკონომიკაში, არ არის სწორი, ვინაიდან ეს ჩვენც გვაზიანებს. ასე იყო 1998 წელს, რუსეთის დეფოლტმა საქართველოს ეკონომიკაც დაანგრია. **რუსეთის ნებისმიერი კრიზისი უარყოფითად აისახა საქართველოს ეკონომიკაზე.** 2014 წლის შემდეგ, როდესაც უკრაინის გამო რუსეთის ეკონომიკა თითქმის განახევრდა, ზუსტად ამ ფაქტორის გამო, ჩვენთანაც სერიოზული ვარდნა მოხდა. ამიტომ, ამ სიტუაციაში საქართველოსთვის ნამდვილად კარგი იქნება თუ რუსეთის ეკონომიკაში დადებითი, ტენდენცია გაჩნდება.

— პოლიტიკური თვალსაზრისით როგორ შეიძლება შეგვეხოს რუსეთის ხელისუფლებაში მიმდინარე ცვლილებები?

— პოლიტიკური კუთხით, მე ვფიქრობ, გარკვეულწილად რუსებმაც ისწავლეს ჭკუა. **აფხაზების ბოლო განცხადება საქართველოსთან პირდაპირი დიალოგის შესახებ, ჩემი აზრით, არის მათი ნამუშევარი. მათ გარეშე ასეთი განცხადების გაკეთებას ვერ გარისკავდნენ, რაც ცალსახად პოზიტივია, ვინაიდან ჩვენ დიდი ხანია, ვითხოვთ პირდაპირ დიალოგს. ეს დიალოგი უნდა დაიწყოს. ასევე უნდა მოხდეს დიალოგი თავად რუსეთთანაც. მართალია, ჩვენი მოკავშირეები და სტრატეგიული პარტნიორები ბრიუსელი, ევროკავშირი, შეერთებული შტატები არიან, მაგრამ ისეთ დიდ მეზობელთან, როგორიც რუსეთია, ვისთანაც ყველაზე დიდი პრობლემები გვაქვს, რა თქმა უნდა, დიალოგი უნდა არსებობდეს.** ასევე ეკონომიკურ ჭრილში, ვფიქრობ, ჩვენ არა მხოლოდ აღმოსავლეთ-დასავლეთის სავაჭრო მაგისტრალები უნდა განვავითაროთ, არამრედ ჩრდილოეთ-სამხრეთისაც. **ამდენი წელია, დაკეტილია აფხაზეთის რკინიგზა და ამის გამო საქართველო დაახლოებით, 200-250 მილიონ დოლარს კარგავს წელიწადში. ეს თანხა შეიძლება მივიღოთ, თუ აფხაზეთის რკინიგზა გაიხსნება. რუსეთის პორტებში იმდენი ტვირთია, რამდენიმე კვირა ვაგონების რიგები დგას, ტვირთების დროული გადატანა ლამის ჩაწყობაზეა. ეს ტვირთები წამოვიდოდა ფოთში, ბათუმში, ანაკლიის აშენების შემთხვევაში, ანაკლიაში. გარდა ამისა, შეგვიძლია ვიყოთ რუსეთ-თურქეთის სავაჭრო ხიდი, სადაც ამ ორ ქვეყანას შორის ტვირთბრუნვის დიდი ნაწილი საქართველოზე წამოვა.** „ტვირთი“ განყენებული ცნება არ არის, თითოეული ასეთი ტვირთი საქართველოსთვის მინიმუმ ათი დოლარია. სერიოზული შემოსავლის მოტანა შეუძლია ამ თემას. საერთოდაც, მაგისტრალები თუ გაიხსენება, სტაბილურობისთვისაც კარგია, ვინაიდან ყველა ქვეყანა და კომპანია, ვისი ტვირთიც აქ გაივლის, საქართველოს სტაბილურობით იქნება დაინტერესებული.

შორენა პირველი

მევლუთ ჩავუშოღლუ - თურქეთი ყოველთვის მხარს უჭერდა ნატოში საქართველოს გაწევრიანებას...

მევლუთ ჩავუშოღლუს თქმით, საქართველოსთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას ევროპის ქვეყნები ვერ იღებენ.

„თურქეთი ყოველთვის მხარს უჭერდა ნატოში საქართველოს გაწევრიანების თემას, თუმცა გერმანია და საფრანგეთი ამ ნაბიჯის გადადგმას რუსეთის უკმაყოფილების შიშით ვერ ბედავენ“, — აღნიშნა თურქეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა ინტერვიუში.

დავოსის ფორუმი აქციების ფონზე

შვეიცარიის ქალაქ ციურიხში დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მოწინააღმდეგეებსა და პოლიციას შორის შეტაკება მოხდა. სამართალდამცველებმა დემონსტრანტების წინააღმდეგ ცრემლმდენი გაზი, წყლის ჭავლი და რეზინის ტყვიები გამოიყენეს. პოლიციის მტკიცებით, რადიკალურად განწყობილი ჯგუფები სამართალდამცველებს ბოთლებს ესროდნენ. დაკავებულია 3 ადამიანი. დავოსის ეკონომიკური ფორუმი 21 იანვარს დაიწყო და ხვალ დასრულდება. მას წელს 117 ქვეყნიდან 3000 ოფიციალური პირი ესწრება.

ემანუელ მაკრონი იერუსალიმში პოლიციელებს დაუპირისპირდა

საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა იერუსალიმში ისრაელის პოლიციელები გააკრიტიკა. ინციდენტი წმინდა ანას ეკლესიაში მოხდა, რომელიც საფრანგეთს ეკუთვნის. მაკრონის შეშფოთება იმ ფაქტმა გამოიწვია, რომ სამართალდამცველები ეკლესიაში მასზე ადრე შევიდნენ. დაპირისპირების ამსახველი ვიდეო მოგვიანებით სოციალურ ქსელებში გავრცელდა.

„არ მომწონს, ჩემ წინაშე რაც გააკეთეთ. გარეთ გადით, თუ შეიძლება. პროვოკაცია საჭირო არ არის. მაპატიეთ, მაგრამ წესები იცით“, — განაცხადა მაკრონმა. ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს მომხდართან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია. მაკრონი იერუსალიმში მსოფლიო ჰოლოკოსტის მე-5 ფორუმზე დასასწრებად ჩავიდა.

სროლა სიეტლში

სიეტლში სროლის შედეგად მოკლულია ერთი და დაჭრილია შვიდი ადამიანი, მათ შორის ერთი ბავშვი. სიეტლის პოლიციის უფროსის კარმენ ბესტის განცხადებით, სროლა „მაკდონალდსის“ რესტორნის გარეთ მოხდა. მისი თქმით, ინციდენტი კამათით დაიწყო, რომელშიც რამდენიმე ადამიანი იყო ჩართული.

სამართალდამცველები ამბობენ, რომ ცეცხლი რამდენიმე პირმა გახსნა, რომლებიც შემდგომ შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. პოლიცია თვითმხილველებს მათ მოძებნაში დასახმარებლად ინფორმაციის მიწოდებისკენ მოუწოდებს. გარდაცვლილი 40-50 წლის ასაკის ქალია. დაშავებულთაგან ერთ-ერთი ცხრა წლის ბავშვია.

ვირუსის გამო შესაძლოა, საერთაშორისო დონეზე საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდეს

ახალ კორონავირუსთან დაკავშირებით, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას მგზავრობის ან ვაჭრობის შეზღუდვის რეკომენდაცია ამ ეტაპზე არ გაუცია. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი სილვიუ დომენტე აცხადებს, რომ ორგანიზაცია ჩინეთსა და მის ფარგლებს გარეთ ვითარებას ყურადღებით აკვირდება. 22 იანვარს ჟენევაში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კომიტეტის საგანგებო სხდომა გაიმართა, სადაც კორონავირუსზე იმსჯელეს.

სხდომის მიზანი იყო სიტუაციის გაანალიზება და გადაწყვეტილების მიღება იმასთან დაკავშირებით, გამოცხადდეს თუ არა საგანგებო მდგომარეობა საერთაშორისო დონეზე. სილვიუ დომენტეს თქმით, კომიტეტის წევრებმა მოისმინეს ანგარიშები, ასევე მიიღეს ინფორმაცია ჩინეთის ხელისუფლებისგან და სხვა ქვეყნების მთავრობებისგან, სადაც ვირუსი გამოვლინდა.

კომიტეტის სხდომაზე გუშინ განხილული ინფორმაცია არ იყო სრულად საკმარისი. ამიტომ გადაწყდა, რომ კომიტეტი კვლავ გამართავს სხდომას დამატებითი ინფორმაციის განსახილველად.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელის თქმით, მნიშვნელოვანია, ყველა ქვეყანა მოემზადოს საერთაშორისო დონეზე შესაძლო საგანგებო მდგომარეობისთვის.

გრიპის ვირუსის გართულებით გარდაიცვალა...

ზუგდიდის **მუნიციპალიტეტის სოფელ რუხში 22 წლის სალომე გაგუა სავარაუდოდ გრიპის ვირუსის გართულებით გარდაიცვალა.**

როგორც გარდაცვლილის ნათესავები აცხადებენ, გოგონას ზუგდიდის რეფერალურ საავადმყოფოში შესაბამისი დახმარება ვერ გაუწიეს და მისი რეფერირება ქუთაისის საავადმყოფო „უნიქალ მედიში“ გახდა საჭირო, თუმცა დახმარება იქაც ვერ აღმოუჩინეს.

ოჯახის წევრების თქმით, გოგო ქუთაისიდან თბილისში კატასტროფის მანქანით გადაყვანის დროს გარდაიცვალა.

გარდაცვლილის ახლობლები მომხდარში ექიმებს ადანაშაულებენ და შესაბამის უწყებებს რეაგირებისკენ მოუწოდებენ. როგორც ზუგდიდის რეფერალურ საავადმყოფოში აცხადებენ, ავადმყოფი 19 იანვარს შევიდა გრიპისთვის დამახასიათებელი მწვავე რესპირატორული სიმპტომებით და შესაბამისი სამედიცინო კვლევების ჩატარების შემდეგ ოჯახთან მოლაპარაკებით ქუთაისში გადაიყვანეს.

მოქალაქეებმა, რომლებმაც ბოლო 2 კვირაში ჩინეთში იმოგზაურეს და ვირუსის სიმპტომები აღენიშნებათ, ინფექციურ საავადმყოფოს უნდა მიმართონ

დაავადებათა **კონტროლისა და სამოქალაქო ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის ამირან გამყრელიძის თქმით, ქვეყნის მასშტაბით, ინფექციური პროფილის სამედიცინო დაწესებულებები ყოველმხრივ მზად არიან ახალი კორონავირუსის შემთხვევის აღმოჩენისას შესაბამისი დახმარება გაუწიონ მოქალაქეებს.**

იგეგმება ასევე სამედიცინო პერსონალისა და ცხელი ხაზის ოპერატორების გადამზადებაც იმ კუთხით, რომ დაავადების სიმპტომებთან ერთად მედპერსონალმა მოგზაურობის ისტორია დეტალურად გამოიკითხონ.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი აცხადებს, რომ ახალი კორონავირუსის შესახებ საბოლოო ტექსტზე შეჯერდებიან და სამ ენაზე (ქართულ, ინგლისურ და ჩინურ ენებზე) დაიბეჭდება ბუკლეტები და ფლაერები, რომლებიც ქვეყანაში შემომსვლელებსა და გამსვლელებს სიმპტომატიკის შესახებ ინფორმაციას გააცნობს. ჩინეთის მთავრობამ კორონავირუსის გამო უხანში კარანტინი გამოაცხადა, ქვეყანაში ბოლო ინფორმაციით, ახალი კორონავირუსით დაღუპულთა რაოდენობა 17-მდე გაიზარდა, ხოლო ვირუსის დიაგნოზი 400-ზე მეტს დაუსვეს.

ინვესტიციების ქვეყნიდან ვალების ქვეყნამდე –

რა გზა გაიარა საქართველომ ბოლო 3 წელიწადში

ქვეყნის ეკონომიკის ზრდაში მნიშვნელოვანი ადგილი ინვესტიციებს უჭირავს. ჯერ კიდევ 2016 წელს საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა **ბიძინა ივანიშვილმა, „ქართული ოცნების“ 4-წლიანი მუშაობის შეფასებისას განაცხადა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ საქართველოს ეკონომიკა ვალების ეკონომიკიდან ინვესტიციების ეკონომიკად გადააქცია.**

თუ „საქსტატის“ მონაცემებს გავითვალისწინებთ, ყოფილი პრემიერის შეფასება რეალობას არ შეესაბამებოდა, რადგან ქვეყანაში ინვესტიციების წილი ყოველწლიურად მცირდებოდა.

გამონაკლისს წარმოადგენდა 2017 წელი, როდესაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 1962.6 მლნ. დოლარამდე გაიზარდა, შემდეგ კი ისევ დაღმასვლა განაგრძო.

„კომერსანტი“ დაინტერესდა რა შეიცვალა 3 წლის შემდეგ. ექსპერტები ცვლილებას ადასტურებენ, მათი თქმით, ცვლილება ნამდვილადაა, ოღონდ პირიქით, საქართველო გადაიქცა არა ინვესტიციების, არამედ ვალების (საგარეო და შიდა ვალი) ქვეყნად, რომელიც სახელმწიფოს მრავლად აქვს.

ახალი ეკონომიკური სკოლის დირექტორი პაატა შეშელიძის თქმით, ბიძინა ივანიშვილის შეფასება, შემდეგ წლებში შესაბამისი პოლიტიკით არ იყო გამყარებული, ამიტომ განცხადება განცხადებად დარჩა.

„ბოლო წლებში შემცირებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, სამაგიეროდ, გაზრდილია როგორც შიდა, ასევე საგარეო ვალი. ჩვენი განვითარების ტემპი არ არის ადეკვატური, ის მოთხოვნები და ინტერესები, რაც გაგვაჩნია. ქვეყანა ბიზნესს არ აძლევს ინიციატივას, რომ შეიქმნას ახალი საქმე. ხოლო რაც კეთდება, სუბსიდირებისა და სხვადასხვა წახალისების ხარჯზე ხდება და არა საკუთარი ინიციატივით. შესაბამისად, გვაქვს სავალალო ვითარება“, — ამბობს პაატა შეშელიძე.

კითხვაზე, თუ რამ შეუშალა ხელი ქვეყანაში მოვლენების პოზიტიურად განვითარებას, შეშელიძე რამდენიმე მიზეზს ასახელებს: **„თანამიმდევრული მონეტარული პოლიტიკის უქონლობა სინამდვილეში ორიენტირებული იყო ფულის მასის ზრდაზე და იაფი სესხის პოლიტიკის გატარებაზე, რაც ივანიშვილისა და მისი მხარდამჭერების ინიცირებული იყო გარკვეულწილად. მეორე ხელისშემშლელი ფაქტორია — შეჩერებული პრივატიზება, რაც ერთ ადგილზე იყო გაყინული. ასევე გამოვყოფდი, სახელმწიფოს ხარჯებს. ვალების აღება, ვითომდა ისეთი პროექტებისთვის, რომლებიც სინამდვილეში ბიზნესის თვალსაზრისით საინტერესო არ იყო. სახელმწიფოს მხრიდან ვალების აღების პრაქტიკა გადაიქცა ყოველდღიურობად, რაშიც ჩართულები არიან ეროვნული ბანკის გავლით. კომერციული ბანკებიდან კი რეფინანსირების სესხის გამოყენებით იღებდნენ ვალს“,** — აცხადებს შეშელიძე.

ქვეყანაში ინვესტიციების შემცირებაზე და ვალის ზრდაზე ისაუბრა **ფინანსისტმა გიგა ბედინეიშვილმა**. მისი თქმით, ვალის წილი იმდენად გაზრდილია, რომ 2020 წლის ბიუჯეტიც კი ვალზეა გასწორებული.

„2016 წელს შექმნილი წარმოდგენები დღევანდელ დღემდე არ გამართლდა. ინვესტიციების კუთხით, გვაქვს მკვეთრი კლება. მილიარდს თუ გადავაბიჯებთ, ძალიან კარგი იქნება, ადრე გაცილებით მაღალ ნიშნულზე ვიყავით, სამაგიეროდ, იზრდება ვალი. ამას ისიც ადასტურებს, რომ ბიუჯეტს 2.5 მლრდ. ლარით ვაფინანსებთ, უმეტესი წილი კი ვალის მომსახურებაზე მოდის.“ — აცხადებს ბედინეიშვილი.

ფინანსისტი ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლებას იმ რეგულაციურ პოლიტიკას უკავშირებს, რომელიც თითქმის ყველა სექტორში გატარდა და პირდაპირი ზეგავლენა მოახდინა საინვესტიციო იმიჯზე. ბედინეიშვილის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ფინანსური სექტორი დღესაც ლიდერია, რეგულაციამ ამ ნაწილშიც მოახდინა გავლენა.

„ყველაზე დიდი ინვესტიცია ქვეყანაში უძრავ ქონებას უნდა შემოჰქონდეს, რამაც შესამჩნევად იკლო და გამოცოცხლება ვეღარ მოხერხდა. დღეს უცხოური ინვესტიცია მილიარდის ფარგლებში აქვს ქვეყანას, რაც ძალიან ცოტაა. 4 მლრდ. მაინც უნდა იყოს, რომ ის დანაკლისი დააბალანსოს, რაც სავაჭრო ურთიერთობებში გვაქვს გარღვევის სახით“, — ამბობს გიგა ბედინეიშვილი.

2016 წლის განცხადებაში ექსპრემიერი ხელისუფლებლების ერთ-ერთ მთავარ მიღწევად აფასებდა იმასაც, რომ **ბიზნესმა სახელისუფლო წნეხი მოიშორა**. როგორც ივანიშვილი ამბობდა, ყველაზე კრიტიკული მედიაც კი ვერ საუბრობს ბიზნესის შევიწროებაზე. ყოფილი პრემიერის ანონსი ამ შემთხვევაშიც ვერ გამართლდა, მაგალითად კი დარგის სპეციალისტები ანაკლიის პორტს იშველიებენ. **„მაშინ, როდესაც ქვეყანაში, ინვესტიციების რაოდენობა მცირდება, სახელმწიფო აჩერებს უდიდეს პროექტებს. როდესაც ქვეყანაში მსგავსი პროექტები ჩერდება, ინვესტორებს უჩნდებათ ეჭვი, რომ მათ შემთხვევაშიც იგივე განმეორდება და თავს იკავებენ ინვესტიციისგან.“**

გიგა ბედინეიშვილი იმასაც უსვამს ხაზს, რომ მთავრობამ აუცილებლად უნდა გაატაროს პოლიტიკა, რათა ინვესტირების ნაწილი იყოს დივერსიფიცირებული. **„ჩვენთან ყველაფერი მთავრობის გავლით ხდება. ცივილიზებულ ინვესტორებს კი ეს არ მოსწონთ.“**

ნათია ლომიძე

◎ შეუჩერებელი

„შერმინატორის“ ჩემპიონთა ლიგა

გიორგი შერმადინი ესპანეთის ლიგა ენდესას პარალელურად, ჩემპიონთა ლიგაშიც შეუჩერებელია. მე-12 ტურში ჩვენებურის „იბეროსტარ ტენერიფე“ თურქეთში „გაზიანთეფს“ ესტუმრა და ძალიან ადვილად — 88:65 იმარჯვა.

გასაკვირი აღარაა, რომ გიორგი მოედანზე საუკეთესო იყო — ეს ხომ მიმდინარე სეზონში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

შერმადინმა მხოლოდ 21 წუთი ითამაშა, მაგრამ ეს დროც საკმარისი გამოდგა, რომ 20 ქულა, 7 მოხსნა, 3 პასი და 2 ჩაჭრა დაეგროვებინა. ქართველმა ცენტრმა 10-დან 8 ორქულიანი (80%) და 5-დან 4 საჯარიმო (ასევე 80%) ჩააგდო. შედეგად, მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი 27-ს გაუტოლდა.

გიო ქულებით (20) ორივე გუნდში საუკეთესო იყო. რაც შეეხება მარგი ქმედების კოეფიციენტს, იდენტური მაჩვენებელი (27) მარსელინიო უერტასს ჰქონდა, რომელმაც მხოლოდ 9 ქულა ჩააგდო, მაგრამ 17(!) შედეგიანი პასი მიითვალა.

„იბეროსტარ ტენერიფე“ C ჯგუფს 10 მოგებითა და 2 წაგებით ლიდერობს და აღნიშნული გამარჯვებით მან მერვედფინალში თამაში ოფიციალურად გაინაღდა, ხოლო მომდევნო ტურში 28 იანვარს ლატვიურ „რიგას“ უმასპინძლებს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ლეგიონერი

ანანიძის კვიპროსი

ფამაგუსტას „ანორთოსისმა“ ჯანო ანანიძის ტრანსფერი ოფიციალურად დაადასტურა. ქართველმა ფეხბურთელმა თემურ ქეცბაიას გუნდთან კონტრაქტი მიმდინარე სეზონის ბოლომდე გააფორმა.

ჯანომ კლუბის ვებ-გვერდთან ისაუბრა და განაცხადა, რომ ქეცბაიამ მის გადაწყვეტილებაში დიდი როლი ითამაშა. „ჯვაროსნის“ თქმით, 100%-ით დაიხარჯება, რომ გუნდს დაეხმაროს.

„ძალიან ბედნიერი ვარ აქ ყოფნით, რადგან ჩემი კარიერის გარკვეულ მომენტში მიზანი სხვა ლიგაში თამაში იყო და ამას გავაკეთებ ისეთ შესანიშნავ გუნდში, როგორიც „ანორთოსისია“. ასე რომ, განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი მწვრთნელს, რომ ეს შესაძლებლობა მომცა. თემურ ქეცბაია მესაუბრა გუნდის მიზნებისა და ფილოსოფიის შესახებ, ამიტომაც მივიღე ეს გადაწყვეტილება. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე წინადადება მქონდა, ავირჩიე „ანორთოსისი“ და ძალიან ბედნიერი ვარ.

ვიმეორებ, მთავარი მიზეზი თემურ ქეცბაია იყო. გარდა ამისა, კვიპროსში „სპარტაკთან“ ერთად მოსამზადებელ ეტაპზე ბევრჯერ ვყოფილვარ და უამრავი რამ ვიცი ქვეყნის, ამინდის, ხალხის, ზოგადად ცხოვრებისა და კარგი საკვების შესახებ. ჩვენი მიზანი ტიტულის მოპოვებაა. საამისოდ „ანორთოსისი“ შესანიშნავი გუნდია და ჩემს ოცნებას შეესაბამება.

ჩემი გუნდისთვის ყველაფერს გავაკეთებ და 100%-ით დავიხარჯები. ვეცდები, რომ მოედანზე ჩემი პოტენციალის მაქსიმუმი ვაჩვენო“, — თქვა ანანიძემ.

შეგახსენებთ, რომ ჯანო ანანიძე რუსეთის პრემიერლიგის მიღმა კარიერაში პირველად ითამაშებს. აქამდე მას მხოლოდ „სპარტაკის“, „როსტოვისა“ და „კრილია სოვეტოვის“ სპორტული ღირსება დაუცავს.

გიორგი ზოთაძე

◎ რაგბი

ცხელი იანვარი

გუშინდელი მდგომარეობით, 30 იანვარს გასამართავ საქართველოს რაგბის კავშირის საპრეზიდენტო არჩევნებზე კლუბების მიერ წარდგენილია სამი კანდიდატი:

1. გოჩა სვანიძე: ლელო, აკადემია, აია, ჯიქი, ყოჩები, იუნკერები, ბაგრატი, არესი, დინამო, ზესტაფონის არწივები, გორდა, ივერია, წიქარა, ავჭალა, ფოთის კოლხი რაინდები, ჯრუჭი, ლაშარი, მიმინო;

2. ირაკლი აბუსერიძე: რუსთავის ხარები, ლოკომოტივი, ბათუმი, არმაზი, არმია, ვეფხვები;

3. ბაჩო ხურციძე: ვანის აიეტი.

* * *

აძვე გთავაზობთ ცნობილი სამხრეთაფრიკელი მედიასპეციალისტისა და ციფრული მარკეტოლოგის ჯეი ბოეთესის, ვფიქრობთ, ფრიად საინტერესო სტატიას ქართული რაგბის უახლოესი პერსპექტივის შესახებ.

საქართველოში რაგბი იმ დონეზე უყვართ და ისე უჭერენ მხარს, რომ მსგავს რამეს სხვა ქვეყნებში ძნელად თუ წააწყდებით.

საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი გოჩა სვანიძე გეგმავს, რომ პოსტის შენარჩუნების შემთხვევაში 2023 წლისთვის მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყროს.

2023 წლის მსოფლიო თასის კამპანიისას ქართული რაგბის მიზანს მოთამაშეთა იმ ბირთვის შექმნა წარმოადგენს, რომლის განხორციელებასაც საერთაშორისო ასპარეზზე საკმაოდ გამოცდილი სამწვრთნელო და ტალანტთა მენეჯმენტის შტაბის დანიშვნით გეგმავს ახალი მთავარი მწვრთნელის ხელმძღვანელობით, რომლის ვინაობაც წლეულს თებერვალში გახდება ცნობილი.

ერთ-ერთი მამოძრავებელი მექანიზმი ამ მიზნისკენ მიმავალ გზაზე არის ახალგაზრდა მოთამაშეთათვის ელიტური **თიერ 1 რაგბის** დაგემოვნება, რომელიც ლეგენდარულ ქარის თასზე მათი ჩართვით გახდება შესაძლებელი, ეს ტურნირი კი მოქმედ მსოფლიო ჩემპიონ „სპრინბოქსისთვის“ ტალანტების ინკუბატორია.

სვანიძემ დაადასტურა, რომ მასსა და სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირის პრეზიდენტ მარკ ალექსანდერს შორის შეთანხმება 2019 წლის ბოლოს გაფორმდა, რომელიც ამ პრესტიჟული ტურნირის პირველ დივიზიონში ქართული ფრანჩაიზის ჩართვას ითვალისწინებს.

„ამ მომენტისთვის ჩვენ სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირისგან 2020 წლის კალენდრის საბოლოო ვარიანტს ველოდებით, რომელიც ჩრდილო და სამხრეთ რეგიონული კონფერენციების სისტემით შემუშავდება“ — განაცხადა სვანიძემ.

2020 წელს ბევრჯერ მოგვეცემა ქართველთა ხილვის შესაძლებლობა სამხრეთ აფრიკაში — ქარის თასის მსვლელობისას ქართული ფრანჩაიზი იოჰანესბურგში (პრეტორია) დაიდებს ბინას, ხოლო ივლისში ეროვნული ნაკრები „ბლუ ბულზს“, სამხრეთ აფრიკის „ა“ და ეროვნულ ნაკრებებს ეთამაშება.

3 ივლისი: „ბლუ ბულზი“ — საქართველო (დასადასტურებელია),

11 ივლისი: სამხრეთ აფრიკა „ა“— საქართველო,

18 ივლისი: „სპრინგბოქსი“ — „ბორჯღალოსნები“.

კობა კობახიძე

◎ ჩოგბურთი

ქართველი ჩოგბურთელი ნიკოლოზ ბასილაშვილი ავსტრალიის ღია პირველობას მეორე წრეში გამოეთიშა. 26-ე ნომრად განთესილი ჩვენებურის მეტოქე ესპანელი ვეტერანი ფერნანდო ვერდასკო იყო, რომელთანაც იგი უშანსოდ, 4 სეტში 6:4, 6:7, 4:6, 4:6 დამარცხდა.

ბასილაშვილმა შეხვედრა კარგად დაიწყო და პირველი პარტიის მოგებაც მოახერხა, თუმცა, მეორე სეტი გადამწყვეტი აღმოჩნდა, რომელიც „ჯვაროსანმა“ ტაი ბრეიკზე დათმო.

31 წლის პირენეელმა ანგარიშის გათანაბრების შემდგომ ზედიზედ 2 პარტიის მოგება შეძლო და 4-სეტიანი დაპირისპირება თავის სასარგებლოდ დაასრულა.

შეგახსენებთ, რომ ნიკამ შარშან აღნიშნული ტურნირის მესამე წრემდე მიაღწია, ამიტომ მას რეიტინგში კვლავ დაქვეითება ელის.

◎ ფორმულა 1

ვალენტინოზაზე წარადგენენ

„მერსედეს-AMG-ს“ ფორმულა 1-ის გუნდი თავის ახალ სარბოლო ავტომობილს, რომლითაც ფ1-ის მსოფლიო ჩემპიონატის 2020 წლის სეზონში იასპარეზებს, 14 თებერვალს (ვალენტინის დღეს) დახურულ ჩვენებაზე წარადგენს.

სილვერსტოუნის ტრასაზე იგი პირველ კილომეტრებს გაივლის, 19 თებერვალს კი გერმანული გუნდის მანქანა ბარსელონაში ოფიციალურ წინასასეზონო ტესტებს შეუდგება. მორიგი სეზონი სტარტს მელბურნში (ავსტრალია) 15 მარტს აიღებს.

ახალი სარბოლო ავტომობილის (W11) შესახებ ჯერჯერობით ცნობილი არაფერია. გუნდის მიზანი, რა თქმა უნდა, კვლავ ორივე ტიტულისთვის ბრძოლაა, რომლებსაც უკვე ექვსი სეზონია, არავის უთმობს. გარდა ამისა, ლუის ჰემილტონს სხვა მიზნებიც აქვს — მეშვიდე ტიტულის მოპოვების შემთხვევაში ის ლეგენდარული მიხაელ შუმახერის მიღწევის გამეორებას შეძლებს. ამასთანავე, მას მხოლოდ შვიდი მოგება აკლია ცალკეულ ეტაპებზე იმავე შუმახერის სარეკორდო 91 გამარჯვებამდე.



მანუჩარ გიორგაძე

◎ ინტერნეტიდან

მონიკას ეიმეოდება

სამიოდე წლის წინაც გაუწყებდით, ახლაც ვწერთ და არც შემდგომში დავიზარებთ იმის აღნიშვნას, რომ ბრაზილიელი ტელეწამყვანი და ფოტომოდელი მონიკა აპორი ის ქალია, რომელიც ფეხბურთში მართლაც კარგად ერკვევა და ბევრი მისი კოლეგისგან განსხვავებით, მობურთალებს მხოლოდ თვალის ფერითა და კუნთების სიდიდით არ აფასებს.

მონიკა ბავშვობიდან ფეხბურთის დიდი ქომაგია და სპორტული ტელეწამყვანობაც მას შემდეგ დაიწყო, რაც ერთ-ერთი ბრაზილიური ტელევიზიის შეფმა აღმოაჩინა, რომ ამ ტანფეხდალოცვილ ასულს ეროვნულ ნაკრებზე თავისი საკმაოდ საინტერესო და აზრდატანებული შეხედულებები ჰქონდა.

ჰოდა, ეს საქმეში საფუძვლიანად ჩახედული ქალი ამბობს, რომ ორწელიწადნახევარში არაბეთის ნახევარკუნძულზე გასამართავ მუნდიალზე გამარჯვების ყველაზე დიდი შანსი მისი მშობლიური ბრაზილიის ნაკრებს აქვს. ამის მიზეზად მდიდარ გამოცდილებას იშველიებს და იძახის — ბრაზილიელები აზიაში ტრადიციულად კარგად ირჯებიანო. სულ ცოტაც და ვნახავთ,როგორი პროგნოზისტიცაა ეს ჩვენი მონიკა...

როსტომ რაჭველიშვილი

რა პრობლემებს უქმნის კახელ ფერმერებს ზამთრის „გვალვიანი თვეები“?

ბოლო ხუთი თვის განმავლობაში კახეთის რეგიონში, პრაქტიკულად, არ უწვიმია, მცირე თოვლი კი მხოლოდ რამდენიმე დღის წინათ წამოვიდა, ისიც ყველგან არა. შემოდგომა-ზამთრის ძირითადად მზიანი დღეების გამო წლის ამ დროისთვის უჩვეულო კიდევ ერთი მოვლენა შეინიშნება — მინდვრის თაგვების მომრავლება.

„ფერმერ ქალთა ასოციაციის“ თავმჯდომარე **ირინა ფხოველიშვილი** გვეუბნება, რომ ფერმერებისთვის, რომლებსაც ხორბალი და ქერი მოჰყავთ, ძალიან რთული პერიოდია:

„ჯერ დათესვის დროს იყო გვალვა, შემდეგ თესლის ამოსვლა გართულდა, ახლა კი თაგვი ანადგურებს. მღრღნელი იმდენად არის გამრავლებული, რომ შხამქიმიკატი აღარ მოქმედებს. თან ნაკვეთს თაგვების საწინააღმდეგოდ ყველა არ ამუშავებს. სპობენ როგორც ერთწლიან ნარგავებს, ასევე მრავალწლიან ხეხილს. ახალ ნერგებს ფესვებს უღრნიან და ხმება“.

ირინა ფხოველიშვილი შენიშნავს, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში, გლობალური დათბობის გამო კლიმატური ზონები კახეთშიც აირია. „ფერმერ ქალთა ასოციაციის“ თავმჯდომარე გამოსავალს აგროტექნიკური ვადების შეცვლასა და ფერმერების სწორად ინფორმირებაში ხედავს:

„ითვლებოდა, რომ ხორბალი უნდა დათესილიყო ოქტომბრის შუა რიცხვებამდე. ახლა ეს პერიოდები ირღვევა, რადგან შემოდგომა აღარ არის. ამიტომ, უნდა დათესო ძალიან ადრე, ან უნდა უყურო, როდის მოვა წვიმა და იმის მიხედვით, მოგვიანებით დაითესოს ხორბალი. ეს არის მეცნიერულად შესასწავლი სპეციალისტების მიერ, რომლებმაც უნდა დადონ ანგარიში და დაასახელონ ახალი ვადები. ძალიან სერიოზული პოლიტიკაა გასატარებელი სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით“.

თუმცა, მაგალითად, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ფერმერები, რომლებსაც ხორბალი და ქერი მოჰყავთ, ამბობენ, რომ მოსავლიანობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი თვეები მაინც თებერვალი და მარტია და თუ ამ დროს საკმარისი ნალექი არ მოვიდა, მცირე მოსავალს მიიღებენ.

„ჩვენი ხორბლის და ქერის გენეტიკაა ასეთი. მაგრამ რაც შეეხება მეცხოველეობას, ახლა არის ძალიან მძიმე პერიოდი. საძოვარზე ბალახი თითქმის აღარ არის. რა შესაძლებლობებიც იყო, ცხვარმა და ძროხამ მთლიანად აითვისა. ამჟამად მთლიანად ბაგურ კვებაზე არიან და ძალიან ძვირი ჯდება ეს ყველაფერი“, — გვეუბნება დედოფლისწყაროელი ფერმერი **ბეჟან გონაშვილი.**

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრის მთავარი სპეციალისტი ლაგოდეხში **გიორგი გოგრიჭიანი** ამბობს, რომ ზამთრის გვალვამ კახეთის რეგიონი შარშან უკვე დააზარალა, როცა უნალექობამ მოსავლიანობა გაანახევრა. გიორგი გოგრიჭიანის რეკომენდაციაა, რომ მათ, ვინც გაზაფხულზე ერთწლიანი კულტურების მოყვანას გეგმავენ, მიწა ახლავე უნდა დაამუშაონ, რადგან ამით ნიადაგი ტენიანობას შეინარჩუნებს:

„გლობალური დათბობა ეს არა მარტო გვალვაა სოფლის მეურნეობისთვის, ეს არის ჭარბი ტენიც, ქარიშხალიც და სეტყვაც. ყოველივე ამის შესახებ ჩვენი სამსახური გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს. აი, ამ ეტაპისთვის მზრალად მოხნული უნდა იყოს ნიადაგი. განსაკუთრებით მაშინ, როცა ნალექი ნაკლებია და მოსალოდნელიც არ არის“.

უნალექო შემოდგომამ და ზამთარმა პრობლემები მხოლოდ სოფლის მეურნეობას არ შეუქმნა. კახეთის რეგიონის მთავარ ქალაქში, თელავში რამდენიმე კვირაა, სასმელი წყლის დეფიციტია წყლის დებეტის შემცირების გამო. კახეთში დამშრალია თითქმის ყველა მთის მდინარე. წყალი მინიმუმამდეა დასული ალაზანშიც.

გიორგი ალადაშვილი

ყოფილი პატიმრის ალექსანდრე სელეპანოვის მოჩვენებანი

ერთ-ერთმა სატელევიზიო არხმა, ისე რომ სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს წინასწარ არც კი დაუკავშირდა ინფორმაციის მიღების მიზნით, გავრცელა ყოფილი პატიმრის ალექსანდრე სელეპანოვის ინტერვიუ, რომელიც დღეს პოლიტიკური მოძრაობა „ლელოს“ წევრია. ინტერვიუში სელეპანოვი №17 პენიტენციურ დაწესებულებაში თითქოსდა არსებულ კრიმინალურ სუბკულტურაზე საუბრობს, — ამის შესახებ აღნიშნულია სპეციალური პენიტენციური სამსახურის განცხადებაში.

მათივე ინფორმაციით, სელეპანოვი მოცემულ დაწესებულებაში სასჯელს იხდიდა 2016 წლამდე და შესაბამისად, მისი განცხადებები ვერ გამოდგება სახალხო დამცველის იმ ანგარიშში მოყვანილი ფაქტების დამადასტურებლად, რომელიც 2019 წლის ზაფხულში ოთხ პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგია.

აღსანიშნავია ისიც, რომ 2016 წლიდან 2019 წელს გათავისუფლებამდე, სწორედ საპატიმროდან, სელეპანოვმა უმაღლესი განათლების მისაღებად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩააბარა, სელეპანოვმა პატიმრობისას შეისწავლა ესპანური და თურქული ენები, დაამთავრა კულინარიის, ბიზნესის მართვისა და მინანქრის კურსები, აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა სასწავლო და სარეაბილიტაციო პროგრამებში. ამ ყოველივეს ფონზე, ღიმილისმომგვრელია საუბარი იმაზე, რომ პენიტენციური სამსახური ვერ მართავს პენიტენციურ დაწესებულებებს და მათში გამეფებულია კრიმინალურ ავტორიტეტთა მმართველობა. თუმცა, გასაგებია, რომ ამჟამად სელეპანოვი ხელისუფლების აქტიური მოწინააღმდეგის პოზიციიდან პოლიტიკურად ანგაჟირებულ განცხადებებს აკეთებს.

სანთელი

გურამ, ია, ბენო ქაშაკაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან გამოჩენილი მეტალურგის, მეცნიერის, დიდი სახელმწიფო მოღვაწის

თენგიზ სიგუას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ქალბატონ ნინოს და ქალიშვილ ირინას ძვირფასი მეუღლისა და მამის გარდაცვალების გამო.

სანთელი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა სამძიმარს უცხადებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ყოფილ თავმჯდომარეს ლონდერ ცაავას მეუღლის

ლილი ბოლქვაძის

გარდაცვალების გამო.

მეგობრები გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციიდან უსამძიმრებენ შესანიშნავ ქართველს, ცნობილ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს, ბატონ ლონდერ ცაავას ძვირფასი მეუღლის

ლილი ბოლქვაძის

გარდაცვალების გამო.

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს შპს „ყაზბეგი-ფშაველის“ საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** შპს „ყაზბეგი-ფშაველი“ (ს/ნ 231248469), თელავის რ-ნი, სოფელი ფშაველი.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
თელავის რ-ნი, სოფელი ფშაველი (საკადასტრო კოდი: 53.18.31.028).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 803732.31 ლარი, დღგ-ის ჩათვლით (დღგ შეადგენს 122603.23 ლარს).
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 24 იანვარი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 7 თებერვალი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP64666820;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 646668
6. **მოვალე:** შპს „ყაზბეგი-ფშაველი“ (ს/ნ 231248469), თელავის რ-ნი, სოფელი ფშაველი;
გიორგი თოფაძე (პ/ნ 01008000849), თბილისი, მცხეთის ქ. 43, ბინა №7;
ირაკლი თოფაძე (პ/ნ 01008004721), თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. №80ა/74;
ლუკა რამაზაშვილი (პ/ნ 20001011831), თელავის რ-ნი, სოფელი ფშაველი;
ვიქტორ დვალი (პ/ნ 01008014346), თბილისი, იური გაგარინის ქ. №13-13ა, ბინა 14.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP64666820; ლოტის ნომერი: 646668).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 7 თებერვლის 10:00 საათამდე.

მუზეუმებსა და მუზეუმ-ნაკრძალებში მომსახურების ტარიფები გაძვირდა

მიმდინარე წლის პირველი იანვრიდან საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სტრუქტურულ ერთეულში შემავალ მუზეუმებსა და მუზეუმ-ნაკრძალებში მომსახურების ტარიფები შეიცვალა.

როგორც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში განაცხადეს, ფასები თითქმის 100 პროცენტით არის გაზრდილი, თუმცა მოქმედებს საშეღავათო სისტემა. უწყებაში განმარტავენ, რომ გაძვირების მიზეზი მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაა.

ახალი ტარიფების მიხედვით, ვარძიისა და უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალებში შესასვლელი ბილეთის ღირებულება მოზრდილი ასაკის მოქალაქეებისთვის 15 ლარით განისაზღვრა. 10 ლარია ბილეთის ფასი უჯარმისა და დავით-გარეჯის მუზეუმ-ნაკრძალის, გრემის მუზეუმის, ხერთვისის ციხისა და ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის ვიზიტორებისთვის.

ამასთან, ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ნიკო ფიროსმანის სახელმწიფო მუზეუმში, სტეფანწმინდის ისტორიულ მუზეუმში, ქუთაისის ისტორიულ-არქიტექტურულ

მუზეუმ-ნაკრძალში (გეგუთის ციხე-დარბაზი), დიდი მცხეთის არქეოლოგიურ სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალში — არმაზციხე (ბაგინეთი) და ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში მოზრდილი ასაკის მოქალაქეებისთვის ბილეთის ღირებულება 5 ლარი გახდა.

შეიცვალა სხვა მომსახურების ტარიფებიც: ვარძიისა და უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალებში ქართულენოვანი საექსკურსიო მომსახურება (გიდი) 25 ლარი, უცხოენოვანი მომსახურება კი, 45 ლარი. ორივე მუზეუმ-ნაკრძალში აუდიო საექსკურსიო მომსახურება 15 ლარით განისაზღვრა. დადგინდა აღნიშნული მუზეუმ-ნაკრძალების ვიზიტორთა ცენტრებში არსებული მულტიმედიური სივრცით სარგებლობის ღირებულებებიც. ვარძიის შემთხვევაში, ის 15 ლარი, ხოლო უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალში კი, 5 ლარი იქნება. ერთი ლარით განისაზღვრა სამუზეუმო მომსახურების ტარიფები საქართველოს მოქალაქე მოსწავლეების, სტუდენტებისა და პენსიონრებისთვის.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მუზეუმებსა და მუზეუმ-ნაკრძალებში უფასოდ შესვლა შეუძლიათ იძულებით გადაადგილებულ პირებს, ომის ვეტერანებს, მზრუნველობასმოკლებულ ბავშვებს და სოციალურად დაუცველი პირის სტატუსის მატარებელ საქართველოს მოქალაქეებს. საფასურის გადახდა არ შეეხებათ ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და მათ თანმხლებ მოქალაქეებს, ICOM ბარათის მფლობელებს (პიროვნების საიდენტიფიკაციო სხვა დოკუმენტთან ერთად), „ემეგობრე მემკვიდრეობას“ წევრებს.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, მომსახურების ტარიფების ცვლილებით მიღებული შემოსავლები უპირატესად მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების ინფრასტრუქტურულ მოწყობას მოემსახურება.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„კუპატას“ ბათუმში ვარსკვლავი გაუსნეს

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ინფორმაციით, ბათუმში პოპულარულ ქუჩის ძაღლ „კუპატას“ უკვე თავისი კერა აქვს.

„მიზნად მხოლოდ ბავშვების უსაფრთხოდ ქუჩაზე გადასვლა ჰქონდა, მაგრამ აშკარად უფრო მეტი გამოუვიდა — „დეპარტამენტის თანამშრომლებმა ვუყიდეთ კერა წარწერით „ხალხის რჩეული“, რაც ნამდვილად დაიმსახურა“, — წერს უწყება სოციალურ ქსელში.

მულტფილმი სამეფო ოჯახზე

HBO MAX-ი ბრიტანეთის სამეფო ოჯახზე კომედიურ მულტსერიალს „პრინცი“ გადაიღებს.

პროექტის მთავარი გმირი პრინც უილიამის ვაჟი ჯორჯი იქნება. პროექტის სცენარისტი პროდიუსერი გარი ჯანეტია. სერიალის სიუჟეტი მის Instagram-ანგარიშზე იქნება დაფუძნებული, რომელზეც ის სამეფო ოჯახში მიმდინარე მოვლენებს ჯორჯის სახელით აფასებს. პატარა პრინცსაც სწორედ ჯანეტი გაახმოვანებს. სხვა პერსონაჟების გახმოვანებაზე იზრუნებენ მსახიობები: ორლანდო ბლუმი, კონდოლა რაშადი, ტომ ჰოლანდერი, ალან ქამინდი, აივან რეონი.

მულტსერიალის გამოსვლის თარიღი ამ ეტაპზე უცნობია.

რა ერქმევა მარსმავალს?

NASA ახალი როვერისთვის, რომელიც მარსზე გაემგზავრება, სახელს არჩევს.

სააგენტოს ვებგვერდზე სკოლის მოსწავლეების მიერ შეთავაზებული 9 ვარიანტია გამოქვეყნებული. მათ შორის Courage (სიმამაცე), Tenacity (შეუპოვრობა), Ingenuity (გამჭრიახობა).

სასურველი ვარიანტის არჩევა ნებისმიერ მსურველს 27 იანვრამდე შეუძლია. თითოეულ სახელს იმ მოსწავლის ესე აქვს დართული, ვინც ეს სახელი წარადგინა, გამარჯვებული კი მარტში გამოვლინდება. გამარჯვებული სახელწოდების ავტორი კი 2020 წლის ივლისში მარსმავლის გაშვებას დაესწრება.



როვერი მარსზე მიკრობების კვალს მოძებნის. ის წითელი პლანეტის ქანის ნიმუშებს შეაგროვებს, რომლებსაც NASA-ს მომავალში აპარატები დედამიწაზე ჩამოიტანენ.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.8895; ევრო - 3.2045;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.7748;
100 რუბლი - 4.6576; თურქული ლირა - 0.4868;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6989;
1000 სომხური დრამი - 6.0365.

ამინდი 24 იანვრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-3,	დღე	+5
მთიანი რაიონები -	ღამე	-10,	დღე	+1
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-2,	დღე	+6
მთიანი რაიონები -	ღამე	-7,	დღე	0
თბილისი:	ღამე	0,	დღე	+4

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge